გაზეთი ბოლოს, „ბოლოს“ ერთი

ბოლოს

ფასი 50 თეთრი

№112 (1007) 17 – 18 ნოემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

კიბოს წამალი არსებობს!

დაავადებას გარგარი, ნუში, ალუბალი, ატამი, ქლიავი და ვაშლის თესლი კურნავს!



გვ. 8

გედევან ფოფხაძის აღსარება

გვ. 3

საქართველოში C ჰეპატიტის სოფოსბუვირით მკურნალობა იწყება!

გვ. 5

ლაშა მკურნალიძე

„პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების 23, ხოლო უკანონო და დისკრიმინაციული მოპყრობის 100-ზე მეტი შემთხვევა უკვე დადასტურებულია“

რა პირობებში უწევდათ ნაციონალების დროს მუშაობა პედაგოგებს

გვ. 9



თაკო ჩარკვიანის არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

„მესამე ძალა ცდილობს, ქვეყანა თავზე დაგვამხოს და თვითონ დიდი ფული გააკეთოს!“

გვ. 4–5

საყდრისი-ყაჩალიანის საბადოს ათვისება სასიცოცხლოდ აუცილებელია

გვ. 7

„ნაბელავის“ ფოტოკონკურსის გამარჯვებულები გამოავლინეს

გვ. 6

„ავტოლიზინგი – შენი ახალი მერსედესი“ – სრულიად ახალი პროდუქტი ქართულ ბაზარზე

გვ. 6

26 მაისის მიტინგზე ნაციონალებმა „ზონდერებად“ გლდანის ციხის პატიმრები გამოიყენეს?!

პატიმრის დღიური

როგორ ანათებდა ფული მიშას ციხეს

გვ. 8

რუსუდან შელია
557-100-768

ზურაბ ჯაფარიძე: „ეს მიტინგი თავიდან ბოლომდე პოლიტიკური სპექტაკლი იყო!“

რა ხდებოდა ნაციონალთა თავყრილობაზე — ის, რაც ტელევიზიებმა არ აჩვენეს

ცოცხალი ორკესტრი, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები — ნინა წკრიალაშვილი, დავიდ-დეფი გოგიბედაშვილი... „თავისუფალი ზონა“ და რამდენიმე ახლადშექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია — „აპრიორი“, „სამართლის თაობა“, „ახალი იუნკერები“... რეგიონებიდან ჩამოსული მოქალაქეები... მცირე რაოდენობით დედაქალაქის მოსახლეობა... ნაციონალური მოძრაობის ძველი თუ ახალი ლიდერები და 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ პარტიის დაკარგული წევრები — ლადო ვარძელაშვილი, ზაზა გოროზია — ამ შემადგენლობით ნაციონალურმა მოძრაობამ კარგა ხნით დაგეგმილი აქცია, რომლის მიზანიც რუსული ანექსიის გაპროტესტება იყო, ერთი საათის დაგვიანებით, დაიწყო.

პროტესტანტებმა სასტუმრო „რადისონიდან“ გეზი რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობისკენ აიღეს. მანამდე კი, დავით საყვარელიძე, გივი თარგამაძე, კობა სუბელიანი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, რეგიონებიდან ჩამოყვანილ მხარდამჭერებთან ერთად, კოლმეურნეობის მოედანზე შეიკრიბნენ... ისე, აქციის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, კოლმეურნეობის მოედანზე, რუსთაველის გამზირსა და სასტუმრო „რადისონთან“ მომიტინგეებს პოლიციელები სჭარბობდნენ. აქვე შეამჩნევდით მერიის გამწვანებისა და დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას მშვიდად, გულმოდგინედ ასრულებდნენ და აქციის მინაწილეებს ყურადღებასაც არ აქცევდნენ. ერთი უცხოელი კი, გადაკეტილ რუსთაველზე ველოსიპედით სეირნობდა.

დაახლოებით, 16: 30 წუთზე, ხალხის ნაკადმა იმატა და პარლამენტის წინ საგანგებოდ დადგმულ სცენაზე პარტიის ლიდერთა ნაწილიც გამოჩნდა. აქციის „კონფერანსიეობა“ გოკა გაბაშვილს დაეკისრა, რომელიც თანაპარტიელებს ასე შეეგება: **„დროშები გაშალეთ, საქართველოს გამარჯვების დროა!“**

პარლამენტის წინ შეკრებილთ „რადისონიდან“ მომავალი ხალხი რევოლუციური მუსიკით შეუერთდა. სცენაზე ერთმანეთს გიგა ბოკერია, ნიკა მელია, გიორგი ვაშაძე ცვლიდნენ და ნელ-ნელა ნაციონალური მოძრაობის მიერ ორგანიზებული აქციის მთავარი ლოზუნგი — „არა ანექსიას“ მოწოდებებმა — „ძირს მთავრობა და ბიძინა ივანიშვილი“, „დღეს უნდა დაიწყოს ხელისუფლების დემონტაჟი“ — ჩაანაცვლეს. აკაკი ბობოხიძე კი ხელისუფლებას „გულის გახეთქვითაც“ დაემუქრა: **„თუ გულის გახეთქვაა, გულის გახეთქვა იყოს, მე ვიცი, რომ ბიძინა ივანიშვილთან სხედან და გვითვლიან. ჩვენი ინტერესი მათი გულის გახეთქვაა. საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას მტკაველი მიწაც არ დაუთმია ბრძოლის გარეშე. დღეს ხელისუფლების უმოქმედობით რუსეთი სარგებლობს. პუტინის მოქმედებას არ ვაპროტესტებ იმიტომ კი არა, რომ გასაპროტესტებელი არ არის, მტერი იმისი მტერია, რომ უნდა გიმტროს. მაინტერესებს, ხელისუფლება რას აკეთებს? რატომ არის გაყურსული სოლოლაკში, შუშის სასახლეში და რას ელოდება? ამ ხელისუფლების პირობებში, თითოეული დღე საქართველოსთვის დაკარგულია, ჩვენ ქვეყანას რუს ოლიგარქს ვერ დავუთმობთ. დღეს, ეს ქვეყანა ერთი კაცის საკუთრების საფრთხეშია, სწორედ ამისგან უნდა ვიხსნათ საქართველო! დღეს ხელისუფლების დემონტაჟი უნდა დაიწყოს“.**

ასეთივე განწყობით დასრულდა აქცია — თუ ხელისუფლება ამ აქციით აფრიალებულ ყვითელ ბარათს ვერ დაინახავს, წითელ ბარათის აწევაც შეგვიძლიაო, თუმცა აქციის დასრულებამდე კიევიდან მიხეილ სააკაშვილი ჩაერთო და მომიტინგეებს „ივანიშვილის მიერ დაჩმორებული საქართველოს“ ალტერნატიულ საქართველოზე, დაახლოებით, 11 წუთი ელაპარაკა: **„თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი ქვეყანა განწირული იქნება და მას არ ექნება მომავალი. ახლა მთელი ერი უნდა გაერთიანდეს და სანამ გვიან არ არის, ხმამაღლა უნდა ვუთხრათ ივანიშვილს, რომ ქართველი ერი არ იზიარებს მის ოცნებას, რომ ქართველი ერი ირჩევს ამაყ, წელში გამართულ საქართველოს, არ თმობს საკუთარ დიდ ისტორიას და დიდ ამბიციებს – დიახ, ჩვენ გვაქვს ამბიცია, ვიყოთ ძალიან წარმატებული, ძალიან მაგარი ქვეყანა. ახლა არის მომენტი, როცა მთელ მსოფლიოს უნდა დავანახოთ, რომ ქართველი ერი არ შეეგუება უღირსობას. უნდა დავანახოთ მტერს, რომ მისი ოცნება მე-5 კოლონით, ხრიკებით, მოსყიდვით, დაშინებით, დაჩმორებით, კისერი მოუგრიხოს ქართული სახელმწიფოებრიობის იდეას, არის განწირული და ჩვენ ამას დავასამარებთ“.**

რუსთაველის გამზირზე მრავლად იყვნენ ისეთებიც, რომლებიც აქციაზე ნაციონალური მოძრაობას კი არა, ანტირუსულ ლოზუნგს შეუერთდნენ და რუსეთის ქმედებები გააპროტესტეს.

ასეთი აღმოჩნდა საზოგადოება „ივერიაც“, რომლის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ნიკა რურუამ განმარტა, ქვეყნის ერთიანობა და ტერიტორიული დაცვა ზეპარტიული საკითხია და ამ შემთხვევაში მთელი საქართველო ერთიან პოზიციაზე უნდა დადგეს: **„ნაციონალურმა მოძრაობამ დააანონსა, რომ ეს ერთი კონკრეტული პარტიის აქცია არ არის. ევროპული არჩევანი აბსოლუტურად ეროვნული საკითხია და ტერიტორიული მთლიანობის საკითხიც ბევრად დიდია ვიდრე ერთი პარტიული ჯგუფი. მოხარული ვარ, რომ საქართველო უგზავნის სიგნალს, ერთს კრემლს — საქართველოს დამონება შეუძლებელია; მეორეს უნიათო ხელისუფლებას, რომელიც პუტინის რუსეთთან ურთიერთობებს „ათბობს“ — თავს ნუ იტყუებენ, გამოფხიზლდნენ და, თუ ჰყოფნით კომპეტენცია, პუტინს პრინციპული წინააღმდეგობა გაუწიონ. სიამოვნებით ვიხილავდი ბევრად ეფექტურ და ეროვნულ მთავრობას, მაგრამ ახლა სხვა ინტრიგების ძებნას არ დავიწყებ. ეს საერთო ეროვნული ინტერესია, სადაც „ქართული ოცნების“ ამომრჩეველსაც კარი ღია აქვს. პარტიული სამშობლო არ არსებობს“.**

ნაციონალური მოძრაობის ახლადარჩეულმა გენერალურმა მდივანმა ზურაბ ჯაფარიძემ კი, „ვერსიასთან“ საუბრისას ხელისუფლების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა დააანონსა: **„აქციაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი და ხმამაღალი გზავნილი გაისმა რამდენიმე მიმართულებით: 1. ხელისუფლებას კიდევე ერთხელ ვუთხარით, რომ რუსეთთან ურთიერთობაში მცდარ და ქვეყნისთვის საზიანო პოლიტიკას ატარებს. 2. საერთაშორისო თანამეგობრობას გავაგებინეთ, საქართველოში ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ ხელისუფლების პოლიტიკა ქვეყნისთვის დამღუპველია! ეს მიტინგი თავიდან ბოლომდე პოლიტიკური სპექტაკლი იყო და თუ ხელისუფლება პოლიტიკას არ შეცვლის, შემდეგი ნაბიჯები ბევრად მკვეთრი იქნება!“**

რუსთაველის გამზირზე აქცია, დაახლოებით, ორსაათნახევარს გაგრძელდა... ცალ თვალში მხედველობადაკარგული, მეორე ჯგუფის ინვალიდი, აფხაზეთის ომის მონაწილე, რომელიც მოწყალებას ითხოვდა, მიტინგის ბელადებს არც კი შეუმჩნევიათ...

ვერსიანიუსი

ჯორჯ სოროსი: „საქართველო არაკორუმპირებული ქვეყანაა!“

„დღეს შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველო მართლაც დამოუკიდებელია. საქართველო არაკორუმპირებული ქვეყანაა და ეს გამოარჩევს მას სხვა ქვეყნებისგან“, — ამის შესახებ „ღია საზოგადოების ფონდების“ დამფუძნებელმა ჯორჯ სოროსმა თბილისის ისტორიის მუზეუმ „ქარვასლაში“ „ფონდ ღია საზოგადოება — საქართველოს“ 20 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ჯორჯ სოროსის თქმით, აღსანიშნავია, რომ ფონდი 20 წლის შემდეგ კიდევ არსებობს.

„როდესაც ვუყურებთ ყველა ამ ადამიანს, გამახსენდა ფონდის საქმიანობის 20 წელი და გამახსენდა, როგორი იყო საქართველო 20 წლის წინ. მართლაც ძალიან ბევრი რამით შეგვიძლია ვიამაყოთ, როცა ვუყურებთ, თუ რა გაკეთდა ბოლო 20 წლის განმავლობაში. თუ რამდენად ბევრი მიღწევა გვაქვს. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, რომ „ღია საზოგადოება საქართველო“ რეალურად მართლაც ძალიან განვითარდა. თქვენ, აქ, საქართველოში ცხოვრობთ, მთელი ამ ხნის განმავლობაში აქ იყავით და შეიძლება ბოლომდე ვერ აცნობიერებდეთ, რეალურად რამდენ რამეს მიაღწიეთ ბოლო პერიოდის განმავლობაში“, — განაცხადა ჯორჯ სოროსმა.

„ინტერპრესნიუსი“

ევროინტეგრაციის მინისტრად დავით ბაქრაძე დაინიშნა

დავით ბაქრაძეს დიპლომატიური საქმიანობის თორმეტწლიანი გამოცდილება აქვს: 2002-2004 წლებში იყო შვეიცარიის კონფედერაციასა და წმინდა საყდართან საქართველოს საელჩოს — ჟენევაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის მრჩეველი, 2004–2005 წლებში კი — საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი.

დავით ბაქრაძე 2006-2008 წლებში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის სამმართველოს უფროსად.

2008-2010 წლებში იყო შვედეთის სამეფოსა და ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი.

2011 წლის ივლისიდან 2012 წლის იანვრამდე იყო ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში საქმეთა დროებითი რწმუნებული.

2012 წლის მარტიდან დღემდე იყო საბერძნეთისა და სერბეთის რესპუბლიკებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

დავით ბაქრაძეს 2014 წელს მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

„ინტერპრესნიუსი“

გედევან ფოფხაძის აღსარება

ნინო კომახიძე, 599-95-33-16

„ეს აქცია ზოგად ღირებულებებთან კი არა, კონკრეტულად ერთ პარტიასთან იყო დაკავშირებული, რომლის ამოცანაც ანექსიის იდეით სპეკულირებაა“, — აცხადებს გედევან ფოფხაძე და კითხვაზე, დაუკავშირებს თუ არა პოლიტიკურ მომავალს ალასანიას ან სხვა პარტიას, მათ შორის „ქართულ ოცნებას“, პასუხობს, რომ 2016 წლამდე, დიდი ალბათობით, უპარტიოდ დარჩება. ნაციონალებში გადასვლას კი სქესისა და რელიგიის შეცვლასავით გამორიცხავს... ერთი კვირის წინ ფოფხაძე ის 76-ე დეპუტატი აღმოჩნდა, რომლის კოალიციიდან გასვლა-არგასვლაც უმრავლესობის ბედს წყვეტდა. დეპუტატმა გადაწყვეტილება უმრავლესობის სასარგებლოდ გააკეთა, თუმცა თავს მოღალატედ არ მიიჩნევს...

„ცუდ ადამიანად ნუ გამომიყვანთ... ირაკლი ალასანიას წინაშე დამნაშავე არ ვარ. არავისთვის მიღალატია!“

— ბატონო გედი, იდეალისტი მეგონეთ, თურმე, ვცდებოდი...

— რატომ, ერთი კონკრეტული გადაწყვეტილების გამო? როცა ამ გადაწყვეტილებას ვიღებდი, ჩემს თავზე საერთოდ არ ვფიქრობდი, ბევრი სხვადასხვა გარემოება იყო ასაწონ-დასაწონი... როცა რაღაც თემაზე დავა მიდის, შუა პროცესიდან გასვლა არასწორია. უნდა დარჩე და იკამათო, კამათის ყველა ფორმა და რესურსი ბოლომდე გამოიყენო. თავისუფალმა დემოკრატებმა კი ეს არ გააკეთეს და თავისი სიმართლის დამტკიცების ნაცვლად, კოალიციიდან გავიდნენ. ეს ყველაზე მარტივ გამოსავლად მიმაჩნია.

— როცა თქვენ და ალასანიამ მარიოტში ყავა დალიეთ და „პირად საკითხებზე ისაუბრეთ“, ამ დროს პარტიის დატოვების გადაწყვეტილება უკვე მიღებული გქონდათ?

— ასეა, მაგრამ ირაკლისთან საუბრის ვალდებულებას მაინც ვგრძნობდი. მასაც ჰქონდა უფლება, ჩემთან შეხვედრა მოეთხოვა, მე კი ვალდებული ვიყავი, ყველაფერი ამეხსნა და ასეც მოვიქეცი. მოვისმინე მისი არგუმენტები, რატომ უნდა დავრჩენილიყავი პარტიაში, მე კი ჩემი პოზიცია გავაცანი, რატომ სჯობდა პარტიიდან წასვლა. გავიხსენეთ წარსული, ისტორიები, რაც ერთად გამოგვივლია. რა თქმა უნდა, ირაკლის უნდოდა, პოლიტიკური საქმიანობა ერთად გაგვეგრძელებინა, მაგრამ ამ ეტაპზე ამის შესაძლებლობა ვერ დავინახე, თუმცა პირდაპირი პასუხი არ გამიცია, მოფიქრებისთვის დრო მაინც დავიტოვე.

— ბიძინა ივანიშვილი და პრემიერი ფიქრში არ დაგხმარებიან?

— არა, გადაწყვეტილების მიღებისას არც ერთს შევხვედრივარ.

— ამდენი საფიქრალი რა იყო?

— საფიქრალი ის იყო, რომ ძალიან ბევრი პრეტენზია მაქვს არსებული ხელისუფლების მიმართ და მისით აღტაცებული სულაც არ ვარ. ვიცი, ბევრი რამ კორექტირებას საჭიროებს და ეს არც დამიმალავს.

— მახსოვს, არცთუ დიდი ხნის წინ, „ოცნებას“ მაჟორიტარის მანდატის დატოვებით და ოპოზიციაში წასვლით ემუქრებოდით, თუმცა გადამწყვეტ მომენტში უკან დაიხიეთ...

— ლოგიკურად, ოპოზიციაში უფრო მე უნდა წავსულიყავი, ვიდრე მინისტრები, რადგან მანამდე, პარტიაშიც და კოალიციაშიც ოპოზიციური განწყობა მე უფრო მქონდა, მაგრამ მერე თავისუფალმა დემოკრატებმა ემოციურად მეც კი გადამასწრეს და ამ ემოციებში ვერ ავყევი. ჩავთვალე, რომ უმრავლესობაში ჩვენი პოლიტიკური აქტიურობის რესურსი ამოწურული არაა. გარდა ამისა, ფორმალურად, მართლა 76-ე კაცზე ჩერდებოდა უმრავლესობა და ჯერ ბოლომდე არც იყო გარკვეული, ვინ დაემატებოდა და ვინ არა. ფრაქციების დამატება უკვე მას მერე გადაწყდა, რაც ეს გადაწყვეტილება მივიღე. 76-ე კაცის როლში ყოფნა არ მინდოდა, თუმცა ხალხის დამატების შესახებ მანამდეც რომ მცოდნოდა, გადაწყვეტილებას, ალბათ, არ შევცვლიდი.

— ახლა თავი გარემოებათა მსხვერპლი გამოგყავთ?

— არანაირად, სულაც არ ვფიქრობ, რომ მსხვერპლი ვარ. ორივე მხარეს არიან კარგი და ცუდი ადამიანები კარგი და ცუდი მოტივაციით.

— ირაკლი ალასანიას მოტივაცია რა იყო, როცა განაცხადა, რომ ქვეყნის საგარეო კურსი საფრთხეშია?

— ეს ემოციური ფრაზა იყო და ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, არასწორი ნაბიჯი, თუმცა ალბათ, არანაირ კონტექსტში არ ჩაჯდება, დღეს მე რომ ჩემი ყოფილი თანაგუნდელები ვაკრიტიკო — მაშინ მათთან ერთად საერთოდ რატომ ვიყავი! ამიტომ გეტყვით, რომ ალასანიას დღესაც დიდი რესურსი აქვს, ქვეყნის განვითარებაში სასიკეთო წვლილი შეიტანოს. უბრალოდ, ჩავთვალე, რომ რაღაცების გაკეთება უმრავლესობაში კიდევ შემიძლია. დღეს ძალიან თავისუფალი ვარ მოქმედებებში, არც ერთი პარტიის წევრი არ ვარ — იმ დიდი გაერთიანების ნაწილი ვარ, რომელიც 1-ელ ოქტომბერს ხელისუფლებაში მოვიდა და რომლის დაშლა 2016 წლამდე არასწორად მიმაჩნია. ამიტომ ვეცდები, 2016 წლამდე კოალიცია არ დაიშალოს და, თუ ეს მაინც მოხდება, ჩემი ბრალი აღარ იქნება. ძალიან მარტივი გეგმა მაქვს — პოზიტიურად უნდა ვიაქტიურო კომიტეტში და ვიყო ბორჯომის მაჟორიტარი. რაც ხელისუფლების არ მომეწონება, უმრავლესობის სხდომებსა და პარლამენტში ისევ ვისაუბრებ.

— რომელიმე პარტიაში გაწევრიანებას აპირებთ?

— პარტია „ოცნების“ წევრობას არ ვაპირებ, ჯერჯერობით, ამის მოტივაცია არ მაქვს. ვერც თავისუფალ დემოკრატებში ჩემი დაბრუნების რესურსს ვხედავ — ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ არ შევდივარ. ბოლოს, აღმოჩნდა, რომ ალასანიას გუნდი სხვა რაღაცებზე ღელავდა, მე კი სხვა რამეზე ვნერვიულობდი.

— იმის თქმა გინდათ, რომ ალასანიას გუნდს პიროვნება აღელვებდა, თქვენ კი, სახელმწიფო? სხვათა შორის, საკითხი ასე პრემიერმა ღარიბაშვილმა დასვა და, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ თქვენ სახელმწიფო აირჩიეთ, რადგან ამ გადაწყვეტილებისთვის მადლობაც გადაგიხადათ.

— ღმერთმა დამიფაროს, ასეთი რამ ვთქვა, ასეთ ცუდ ადამიანად ნუ გამომიყვანთ. მადლობა კი გადამიხადეს, მაგრამ ალბათ, იმათ ასე ჩათვალეს, მე კი, ჩემი არგუმენტაცია მქონდა. იმასაც ვიტყვი, რომ ირაკლი ღარიბაშვილმაც დაუშვა შეცდომები. ფრაზა, ალასანია ავანტიურისტიაო, რომც ეფიქრა, ხმამაღლა მაინც არ უნდა ეთქვა. საერთოდ, მთელი ცხოვრება ოპოზიციაში ვიყავი, თავს კომფორტულად ოპოზიციაში უფრო ვგრძნობ და მგონია, საარჩევნო ტექნოლოგიების ცოდნით, ოპოზიციური რიტორიკითა და ოპონირების რადიკალური ნიშით ნებისმიერი ოპოზიციური ძალისთვის სასარგებლო ვიქნები.

— რომელ ოპოზიციურ ძალას უმიზნებთ, ვერ ვხვდები, ან იქნებ საკუთარ პარტიას ქმნით?

— ამას არ ვამბობ. უბრალოდ, ჩემი პოლიტკარიერის განმავლობაში, 2012 წლამდე, სულ 6 თვე ვიყავი ხელისუფლებაში და ოპოზიციაში ყოფნის გაცილებით დიდი გამოცდილება მაქვს, თუმცა იმასაც გეტყვით, ალასანიას 6 კაცი რომ არ გაჰყოლოდა და ფრაქცია დაშლოდა, არც ამას დავუშვებდი და ის მეექვსე მე ვიქნებოდი. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ დილემის წინაშე ვიდექი და არჩევანს ღირებულებათა შორის ვაკეთებდი — ეს პოლიტიკური ნაბიჯი იყო და იქ დავრჩი, სადაც თავი უფრო საჭიროდ ჩავთვალე.

— როგორ ფიქრობთ, ადამიანურად, სწორი გადაწყვეტილება მიიღეთ, თავს მოღალატედ არ გრძნობთ?

— ადამიანურად, არ მივიჩნევ, რომ მოღალატე ვარ! მიუხედავად იმისა, რომ ადამიანური ურთიერთობები ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე პოლიტიკა. არ ვფიქრობ, რომ პოლიტიკაში მეგობრობა არ არსებობს. თუ ასეა, მაშინ რა მინდა პოლიტიკაში?

— არ გეწყინოთ და, ალასანიას გადასახედიდან, ძალიან ცუდი მეგობრის შთაბეჭდილებას ტოვებთ.

— ირაკლი ალასანიას წინაშე დამნაშავე არ ვარ. არავისთვის მიღალატია — ამას კატეგორიულად ვაცხადებ! რაღაც შინაგანი წინააღმდეგობები მქონდა, მაგრამ ვერ დავინახე ჩემი იქ ყოფნის რესურსი, ვერც — პიროვნული და ვერც პოლიტიკური მოტივით.

— ბატონო გედი, თქვენი პოლიტიკური ბიოგრაფიით კმაყოფილი ხართ? 2008 წლის ვადამდელი საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნების წინ, როგორც ვიცი, ვანო მერაბიშვილს შეხვდით. ოპოზიციონერ ვანოსთან რა საქმე გქონდათ?

— 2008 წელს, ბორჯომში, ლევან გაჩეჩილაძის შტაბის უფროსი ვიყავი. მერაბიშვილს არ დაუბარებივარ, მაგრამ შეხვედრა გვქონდა. მაშინ პოლიტიკურ აქტიურობას აღარ ვაპირებდი და აინტერესებდა, ეს რეალური გადაწყვეტილება იყო თუ არა. მაშინ ოპოზიციაში საბრძოლო ვითარება აღარ იყო, აღარც გუნდი იყო შეკრული და გამარჯვებისთვის მოტივირებული, ამიტომ ჩავთვალე, რომ მეც მაქვს დასვენების უფლება და ასეც მოვიქეცი, თუმცა ამასთან ჩემი და მერაბიშვილის შეხვედრა კავშირში არაა. შემდეგ 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებში, ბორჯომში მხარი „მრეწველებს“ დავუჭირე, რადგან ჩემი ძმა დღესაც ამ პარტიის წევრია. მაშინ უკვე მქონდა კონსულტაციები ირაკლი ალასანიასთან, მაგრამ შეთანხმება არ შედგა, რადგან ალიანსმა ჩათვალა, რომ მათთვის მისაღები ფიგურა არ ვიყავი.

რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, ვფიქრობ, ამ გადაწყვეტილებით, კოალიცია დაზარალდა, რადგან ალასანია სჭირდებოდა, ქართული პოლიტიკა კი არ დაზარალებულა — ალასანია რჩება ოპოზიციაში და შეიძლება, ეს ქვეყნისთვის უკეთესიც იყოს.

— ნაციონალებთან ხომ არ ითანამშრომლებთ?

— ნაციონალურ მოძრაობაში არასოდეს მივალ და ამას ისევე გამოვრიცხავ, როგორც — სქესის ან რელიგიის შეცვლას!

ვერსიანიუსი

პოლიციამ სამეგრელოში უკანონო იარაღი ამოიღო, ქარელში კი უკანონო იარაღის შეძენისთვის, ერთი პირი დააკავა

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში მცხოვრები, 1984 წელს დაბადებული ბესიკ ზ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების, ნარკოტიკული საშუალების განმეორებით მოხმარების და პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბესიკ ზ-ს პირადი ჩხრეკისას სამართალდამცველებმა „ა-კა-ეს“-ის მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. ბესიკ ზ-მ დაკავებისას სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწია. ნარკოლოგიური შემოწმებისას მას ნარკოტიკული საშუალების განმეორებით მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების, ნარკოტიკული საშუალების განმეორებით მოხმარების და პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 273-ე მუხლით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით და 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით). ამასთან, შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს ქარელის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობით მსჯავრის ქვეშ მყოფი თენგიზ ა. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ბრალდებით ქარელის რაიონში დააკავეს. სამართალდამცველებმა თენგიზ ა-ს პირადი ჩხრეკისას „ა-კა-ეს 74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 56 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, რაც 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

ამერიკელი გენერლის თქმით, საქართველოსა და აშშ-ს შორის იარაღის შეძენაზე მოლაპარაკებები გაიმართა

აშშ-ს არმიის ევროპული სარდლობის მეთაურის, გენერალ-ლეიტენანტ ფრედერიკ ჰოდჯესის ინფორმაციით, გასულ კვირას აშშ-სა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის იარაღის შეძენასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები შედგა, — ამის შესახებ ჰოდჯესმა თავდაცვის სამინისტროში, საქართველოს თავდაცვის მინისტრ მინდია ჯანელიძესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე, იმ კითხვის პასუხად განაცხადა, აქვს თუ არა ინფორმაცია იმ მოლაპარაკებების შესახებ, რომელსაც აწარმოებდა ყოფილი თავდაცვის მინისტრი იარაღის შესყიდვასთან დაკავშირებით.

„ნამდვილად ვარ ინფორმირებული იმ საუბრების შესახებ, რომელიც გაიმართა გასულ კვირას ვაშინგტონში იარაღის შეძენასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, არ იქნება მიზანშეწონილი ჩემი მხრიდან, ვისაუბრო იმ შეხვედრაზე, რომელიც შედგა ძალზე მაღალ დონეზე ჩემი ქვეყნისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის“, — განაცხადა ჰოდჯესმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია პირები, რომლებიც შეხვედრაში მონაწილეობდნენ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში კი აცხადებენ, რომ ასეთი შეხვედრის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ.

„ინტერპრესნიუსი“

„მესამე ძალა ცდილობს, ქვეყანა თავზე დაგვამხოს და თვითონ დიდი ფული გააკეთოს!“

თაკო ჩარკვიანი ენის მიმტანებსა და ჩანერგილ-გადამონერგილებზე



ვანო პავლიაშვილი

...ის, რაც ჩავიფიქრე, ერთობ ავანტიურისტულია. მაინც, რა ჩავიფიქრე? — ისეთი არაფერი. უბრალოდ, ინტერვიუ უნდა ჩავწერო ჩემს მეგობართან. ახლა, არ იკითხავთ, ეს მეგობარი ვინ არის? ვინ და — სახალხო პოეტის, ჯანსუღ ჩარკვიანის შვილი, პუბლიცისტი თაკო ჩარკვიანი... არ ვიცი, რა გამომივა — ადვილი სულაც არაა, მეგობარს უხერხული კითხვები დაუსვა და ისე ელაპარაკო, როგორც ჩვეულებრივ რესპონდენტს... ასეა თუ ისე, ვგრძნობ, ამ ინტერვიუს დიდი მითქმა-მოთქმა და აჟიოტაჟი მოჰყვება... მაშ, ასე: სმენა იყოს და გაგონება — „ვერსია“ და მე, ზომიერად ამბიციურ-ავანტიურისტი ვანო პავლიაშვილი წარმოგიდგენთ თაკო ჩარკვიანის არა-ჩვეულებრივ ინტერვიუს!

— თაკო, რა გაწუხებს?

— ის, რაც გარშემო ხდება, არ მომწონს.

— და გარშემო რა ხდება?

— ერთი პერიოდი ვგრძნობდი, რომ არაფერი ხდებოდა, მაგრამ მერე, ეს სტატიკურობა იმით შეიცვალა, რომ ცოტა შოკისმომგვრელი განცხადებები მოვისმინეთ და ძალიან არ მომეწონა. ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი ეს არასახელმწიფოებრივად მივიჩნიე.

— უფრო კონკრეტულად?

— ქვეყანაში ამხელა ამბავი მოხდა და ნაცმოძრაობა ოპოზიციაში აღმოჩნდა. 9 წლის განმავლობაში, ძალიან სერიოზულ ოპოზიციაში ვიყავი.

— გახსოვს, ერთმანეთი რომ გავიცანით, ვარდების რევოლუცია ახალი მომხდარი იყო...

— ვანო, მაშინ მე და შენ რაღაცაზე განსხვავებული აზრი გვქონდა, მაგრამ მაინც დავმეგობრდით. საერთოდ, ადამიანს განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი უნდა ჰქონდეს... ჯერ კირვალიძესა და რაღაც ტრაქტორებზე ერთი ამბავი ატყდა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ეს კაცი მართალია...

— არ გეწყინოს და, ახლა მარგველაშვილივით ლაპარაკობ...

— მარგველაშვილმა ეს ახლა თქვა, მე კი, Facebook-ზე რამდენიმე დღის წინ დავასტატუსე და მას მერე არ გავჩერებულვარ. საერთოდ, ყველაზე კარგი გულწრფელობაა. ვთქვი და ვიმეორებ: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს — ირაკლი ალასანიას ბრალს ნაციონალების ლობირებაში სდებენ და ამ დროს უმრავლესობაში 6 ყოფილი ნაციონალი შედის. რიგითმა მოქალაქეებმა ხმა ბუკიას ან მარიკა ვერულაშვილს ანუ ნაციონალებს კი არა, „ქართულ ოცნებას“ მისცეს და რაღაც მორალური მხარე დაირღვა. ორი წელი საგანელიძე კიოდა, ჩანერგილები და გადმონერგილები, ჩანერგილები და გადმონერგილებიო... ამის მეტი არაფერი გვესმოდა და ახლა ეს ექვსი ადამიანიც ჩანერგილ-გადმონერგილი რომ აღმოჩნდეს, მერე რა ვქნათ? ვანო, იცი, ჩემთვის პირველი სიგნალი რა იყო? — თავის დროზე ხუხაშვილმა რომ თქვა, კაბინეტი რად მინდა, აგერ, მობილური მაქვს და თუ მართვა მინდა, დავრეკავო. ეს არასახელმწიფოებრივი აზროვნებაა. ვერ გავიგე, უკვე ქუჩაში ვართ, ქუჩისკენ მივდივართ თუ როგორ ხდება?

არ დამვიწყებია, 9 წელი რა კატასტროფაც იყო — გირგვლიანი, ვაზაგაშვილი და სულ ქუჩაში ვიყავით...

— ჩვენში დარჩეს და, ადამიანი, რომელსაც ნაციონალების დროს ომბუდსმენის პოსტი ეკავა და ინდაური მიუყვანე, დღეს „ოცნების“ მინისტრია...

— (იცინის)

— არ „გაგიტყდა“, სუბარი პოსტნაციონალურ ეპოქაში მინისტრი რომ გახდა?

— მარტო მე არ მიმიყვანია... არა, ძალიან ლიბერალი ვარ და მომწონს, თუ ადამიანებს აქვთ მცდელობა, თავიანთი აზროვნება და ცხოვრება კარგისკენ წაიყვანონ. აქვე გეტყვი: არ მომწონს, როცა რადიკალურ განცხადებებს ვისმენ, ამიტომ ის განცხადება, რომელიც ირაკლი ალასანიას მისამართით გაკეთდა, ჩემთვის შოკისმომგვრელი იყო, განსაკუთრებით, სიტყვა „მოღალატე“. ეს სიტყვა, რომელსაც ძალიან ცუდი ენერგეტიკული დატვირთვა აქვს, ქართველებმა სერგო ორჯონიკიძისთვისაც ძლივს გავიმეტეთ! როცა შენს გუშინდელ თანამებრძოლს, ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთი გმირის, რეჟიმის მიერ დახვრეტილი მამია ალასანიას შვილს, თავადაც აფხაზეთში მეომარსა და ჩურკინთან მოპაექრეს, რომელზეც ორი წელი გვეუბნებოდნენ, დიდი წვლილი მიუძღვის ნატოსთან ურთიერთობის საკითხებშიო და ჯარს ანდობდი, ეუბნები, მოღალატე ხარო, ეს არასახელმწიფოებრივი განცხადებაა!

— რა ვიცი, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში თავად ალასანია და მისი თანაგუნდელები ამხილეს. ისე, თაკო, ახლა, მართლმორწმუნე „ოცნებელი“ რომ ვიყო, გეტყოდი, ტენდენციური ხარ — ჯანსუღ ჩარკვიანისა და გურამ ფანჯიკიძის მეგობრობაზე ლეგენდები დადის... ისიც ვიცი, პრემიერთან ნორმალური ურთიერთობა გაქვს...

— ვანო, ახლა ისეთ რამეს გეტყვი, რაც არასოდეს მითქვამს, საერთოდ, ასეთი განცხადებების გაკეთებას ვერიდები, მაგრამ ღარიბაშვილის მიმართ სიმპათია მაქვს — ახალგაზრდა, ენერგიით სავსე კაცია და მისგან ასეთ განცხადებას არ ველოდი.

— ერთი ერთზე რომ შეხვდე, რას ეტყვი?

— იმას, რაც ახლა ვთქვი.

— რომ ეწყინოს?

— მერე, რა?! ეს ჩემი, როგორც რიგითი მოქალაქის პოზიციაა. სხვათა შორის, მიშას ინაუგურაციამდე ორი კვირით ადრე, „რუსთავი 2“-ზე, ეკა ხოფერიას „ღამის კურიერში“ ვთქვი, საქართველოს სათავეში ნიჭიერი, მაგრამ გაუწონასწორებელი კაცი მოდის და ქვეყანა არ ანდოთ, საშიშია-მეთქი. ეთერში, ჩემთან ერთად მიხეილ მაჭავარიანი, მაია ნადირაძე და თეიმურაზ მირიანაშვილი ისხდნენ. მაია ნადირაძემ მითხრა, მიშამ ენები იცისო. ვუპასუხე, ამას რა მნიშვნელობა აქვს, გაუწონასწორებელია-მეთქი... მოკლედ, ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ.

— ეგ ვიცი, მაგრამ შენ რიგითი მოქალაქე არ ხარ...

— მე ვარ ადამიანი, რომელიც „ქართულ ოცნებასთან“ ერთად იმიტომ იბრძოდა, მიხეილ სააკაშვილი წასულიყო!

— შენ ის ადამიანიც ხარ, რომელმაც 2010 წლის მაისში, ტელევიზიის წინ გამართულ ე.წ. ბურჯანაძის მიტინგებს ბოიკოტი გამოუცხადა. რატომ?

— ერთი შეცდომა შეიძლება ნებისმიერ პოლიტიკოსს მოუვიდეს, მაგრამ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც ქვეყნისთვის სირცხვილია და ეს ძალა ბურჯანაძეა, რომელმაც 2007 წლის 9 ნოემბერს 7 ნოემბრის მოვლენები „გააპრავა“. ეს გამოკვეთილი რეაქციული რუსული ძალაა! თუ საქმე მეგობრობაზეა, ვანო, მერწმუნე, რუსულ ლიტერატურულ თუ მუსიკალურ წრეებში ჩემზე მეტი მეგობარი ბევრს არ ჰყავს, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებაში ის რეაქციული ძალაა, რომელიც მსოფლიოს ყელზე ადგას! ბევრს უკვირს, ამას რატომ ამბობო, მაგრამ ამით წყალს სააკაშვილის წისქვილზე კი არ ვასხამ, არამედ, იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ. ჩვენი ტერიტორიების დაკარგვა მხოლოდ სააკაშვილის სახელს არ უკავშირდება, რუსეთი ჩვენთან დადებულ ყველა ხელშეკრულებას ყოველთვის არღვევდა და ის გააკეთა, რაც შაჰ აბასსაც არ გაუკეთებია — მეფის ინსტიტუტი გააუქმა და გუბერნიად გვაქცია. დიახ, საქართველოში რუსული რეაქციული ძალის მომხრე ბურჯანაძეა! მე კი ჩემი ქვეყნის დასამარებას არასოდეს მივემხრობი! კი ბატონო, ჩვენ, ყველანი, 70 წელი ერთპარტიულ სისტემაში ვცხოვრობდით, მაგრამ ძალიან კარგად ვიცი, მაშინ მამაჩემის თაობა როგორ წვალობდა — ბევრს ჩუმად აკეთებდა, ბევრს — ხმამაღლა. ხმამაღლა იყო, 1972 წელს ჯანსუღმა რომ დაწერა: „როგორ დაცხრება, როგორ დაცხრება, თავისუფალი ხალხის ბუნება, თავისუფლება და აღტაცება დაუცხრომლობით აღესრულება“... ჯანსუღმა „თავისუფლება ლომთა ხვედრია“ და „ტყვია მიზანში მოსახვედრიაც“ მაშინ თქვა...

— კი ბატონო, მაგრამ თაკო, რამდენიმე წუთი ბოროტი მეგობარი ვიქნები და გეტყვი, რომ ვიღაცები ჯანსუღსა და მის სამეგობროს წითელ ინტელიგენციას ეძახდნენ... ამაზე არ ბრაზდები?

— არა, რადგან გარკვეულმა ადამიანებმა სიმართლე არ იციან. იმ ხალხზე კი ვბრაზდები, ვინც ყველაფერი იცის, მაგრამ ასეთ რაღაცებს შეგნებულად ამბობს. ვანო, უშიშროებას არასოდეს ეძინა და თავის საქმეს აკეთებდა — მამაჩემის თაობაზეც ხმას სპეციალურად ყრიდა, ეს „დაყავი და იბატონე“-ს პრინციპია, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ჯანსუღს, მუხრანს, ოთარ ჭილაძესა თუ ჭაბუა ამირეჯიბს ერთმანეთზე ცუდი არასოდეს უთქვამთ, მათ ერთმანეთის ფასი იცოდნენ!

— ის, რომ ყველაფერი ინსპირირებული იყო, დღეს ნათლად ჩანს — ვიცი, კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიასთან მეგობრობ...

— დიახ, დღეს მე და კოკო უახლოესი მეგობრები ვართ, თუმცა ყოველთვის მეგობრები ვიყავით... დედაჩემი თამრიკო გამსახურდიასთან მეგობრობდა, ორივე დისერტაცია კი, კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებასა“ და „დიდოსტატის მარჯვენაზე“ აქვს დაცული. ვიდრე კოლხურ კოშკში გადავიდოდნენ, მამაჩემი და ზვიადი მეზობლები იყვნენ. ზვიადის თავდები ორჯერვე ჯანსუღი იყო... ავადსახსენებელ 90-იან წლებში მესამე ძალამ იმდენი ქნა, ორივე მხარე ქუჩაში გაგვიყვანა. არ არსებობს, ერთი მხარე მართალი იყო და მეორე — დამნაშავე. მაშინ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც აქეთ-იქით ენა მიჰქონდათ. დღესაც ეს ძალა ვიგრძენი და ამიტომ შემეშინდა, თორემ მეტი არაფერი! არავის ვეპირფერები, მაგრამ ჩანს, ირაკლი ღარიბაშვილი ნიჭიერი, ენერგიული ახალგაზრდა კაცია, რომელიც რაღაცას ცდილობს და აკეთებს. აღარაფერს ვამბობ ირაკლი ალასანიაზე, რომელსაც, უბრალოდ, კარგად ვიცნობ და რომელმაც ზუსტად იცის, ვისი გორისაა. ვიგრძენი, ისევ გამოჩნდა ის მესამე ძალა, რომელიც ცდილობს, ყველა ერთმანეთს გადაგვკიდოს, ქვეყანა, სულ ცოტა, თავზე დაგვამხოს და დიდი ფული გააკეთოს!

— თაკო, მაინც, ვისზე ლაპარაკობ?

— იმ ადამიანებზე, რომლებიც ტელევიზიით, განსაკუთრებით ბოლო დროს, ხშირად ჩანან! ეს საქართველოსთვის გადამწყვეტი ბრძოლაა!

— ეს სააკაშვილის სიტყვებია!

— არა, ეს ჩემი, ჩემი მეგობრების, მამაჩემის, ოთარ ჭილაძის, ჭაბუა ამირეჯიბის, ნოდარ დუმბაძის სიტყვებია და ძალიან დიდი ბოდიში, ევროპისა და დასავლეთისადმი სიყვარულს ნაცმოძრაობას ნუ ვაჩუქებთ! ეს ილია ჭავჭავაძის, სულხან-საბას და ჩემი, რიგითი მოქალაქის სიტყვებია!

— რიგითი მოქალაქისთვის, რომელსაც შია და სწყურია, რა მნიშვნელობა აქვს, ქვეყნის საგარეო კურსი დასავლური იქნება თუ რუსული?

— ეს უკვე სახელმწიფოს პრობლემაა — ამ სისულელეებითა და პენსიის ხუთი ლარით მომატებით უკვე დავიღალეთ. მაგალითად, მე ამ ხუთი თუ ათი ლარის გამოცხადების შემრცხვებოდა!

— ვიღაც იტყვის, თაკო ჩარკვიანი უპრობლემოდ ცხოვრობს, ბიზნესმენი მეუღლე ჰყავსო...

— არც ასეა საქმეა... 9 წლის განმავლობაში, პრობლემა კი არა, ჩემს ქმარს ყველაფერი, თუკი რამე ბიზნესი ჰქონდა, გაუჩერეს. მთელმა ოჯახმა ყველაფერი სასწორზე დავდეთ, მაგრამ ჩემს ქმარს არ უთქვამს, გაჩუმდიო.

— ანუ ჯონი გიგანს ნაციონალები პრობლემებს შენსა და ჯანსუღის გამო უქმნიდნენ?

— რა თქმა უნდა.

— პრობლემები შენმა დღევანდელმა აქტიურობამაც რომ შეუქმნას?

— არ მგონია, ის ხელისუფლება მოგვეყვანა, ლაპარაკის გამო პრობლემების წინაშე დავდგე!

ვანო, იმის თქმაც არ მინდა, აი, ბატონ ბიძინამდე სწორი ინფორმაცია მივიდეს-მეთქი. ეს კარგი იქნება, მაგრამ ჩემი მხრიდან ასე ლაპარაკი არასახელმწიფოებრივია, რადგან ვიღაც, ვინც სახელმწიფოს პატივს სცემს, მეტყვის...

— უკაცრავად და, მე გეუბნები: ივანიშვილი ჩვეულებრივი მოქალაქეა და რატომაა მნიშვნელოვანი, მასთან სწორი ინფორმაცია მივა თუ არასწორი?

— მეც ამას ვამბობ... ყველაფერი ეს ხელოვნურად შეთითხნილი და მოწყობილი მგონია. ვიღაც იტყვის, ალასანია რომ გადადგა, არასახელმწიფოებრივად მოიქცაო. გადადგომის პირველი წუთებში ვიფიქრე, ნაადრევი ხომ არაა-მეთქი, მაგრამ მერე ვნახე, მართლაც სოლიდური დარტყმა იყო, თან მაინცდამაინც მაშინ, როცა ეს კაცი უცხოეთში იმყოფებოდა, მერე კვების საქმე გამოჩნდა. სხვათა შორის, ამ საქმეში, ასე ვთქვათ, ბრალდებულები სასამართლომ გირაოს გარეშე გაათავისუფლა. ტრაქტორების საქმეც გამახსენდა, სადაც თურმე, არაფერი ხდებოდა. ჰოდა, როგორც ჟურნალისტს, გამიჩნდა ეჭვი, ყველაფერი ეს დასავლურ ინსტიტუტებზე დარტყმა ხომ არ არის-მეთქი. ეს ეჭვი მთელ ჩემს სამეგობროს გაუჩნდა და რა ვქნათ? თუ ემოცია ერთ მხარეს აქვს, მეორე მხარესაც ხომ აქვს, რომელიც მიიჩნევს, რომ თავდადებულია?! იმ ადამიანს, რომელიც ჩურკინს ეპაექრება და მერე გადადგება, ცოდვაა, უთხრა, მოღალატე ხარო...

— თაკო, ვიცი, ობიექტური ხარ, ჰოდა, ერთი წამითაც არ დაგიშვია, რომ ალასანია ეგებ მართლა დამნაშავეა და ყველაფერს პოლიტიკური ელფერი თავდაცვის მიზნით მისცა?

— გამოიძიონ, ახსნან გრიფი „საიდუმლო“, გვაჩვენონ... თუკი ვინმეს რამეში ეჭვი ეპარება, უნდა გამოიძიონ, აბა, რა უნდა ქნან, მაგრამ აქ ფორმასა და შენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის დისკრედიტაციაზეა საუბარი. ესე იგი, ორი წელი თავდაცვის მინისტრად ამბიციური და მოღალატე გვყავდა და ღამე მშვიდად გვეძინა? ეს განცხადება ჩემთვის სახელმწიფო ინსტიტუტის შერყევა იყო და მეტი არაფერი! ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს, რომ გამოძიებამ სახელმწიფო ინსტიტუტები არ შეარყიოს! მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება პასუხისმგებლობას მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებას ვაკისრებ: მიშას დროს მას ვაკისრებდი, შევარდნაძის დროს — შევარდნაძეს... ხომ გახსოვს, 1999 წელს რაც დავწერე?

— მე კი მახსოვს, მაგრამ თითო ოროლა ჯანსუღს წამოაძახებს ხოლმე, შევარდნაძის ძმაკაცი იყავიო.

— ჯერ ერთი, ჯანსუღი შევარდნაძესთან მაშინ ძმაკაცობდა, ვიდრე ის ხელისუფლებაში მოვიდოდა; მეორეც, შევარდნაძის მიერ საგარეო პოლიტიკაში გადადგმული ნაბიჯები მომწონდა და ახლაც მიმაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის შერყევაში ერთი აგური, თუ ორი არა, დადო.

დასასრული მე-5 გვერდზე

მე-4 გვერდიდან

ის ნავთობსადენი, რომელიც შევარდნაძემ გააკეთა, საქართველოში დასავლური ინსტიტუტების შემოსვლად მივიჩნიე. სულ იმაზე ვფიქრობ, ჩემი ქვეყანა როგორმე დასავლეთის სრულფასოვანი წევრი გახდეს და იქნებ იმ უბედურ სივრცეს, რომელმაც ჩვენს ქვეყანას რეაქციულ რუსეთთან ურთიერთობა მიუსაჯა, გავაღწიოთ. ყველას ვთხოვ, ერთმანეთს რუსული ლიტერატურის სიყვარულში ნუ შევეჯიბრებით!

— და გგონია, ორი — კეთილი და ბოროტი რუსეთი არსებობს?

— არა, ასეთი მიამიტი არ ვარ და რუს კომფორმისტებსაც კარგად ვიცნობ, მაგრამ არსებობენ რუსები, რომლებიც, როცა რუსეთში ვერ „იბეჭდებოდნენ“, ჯანსულთან მოდიოდნენ და აქ იბეჭდებოდნენ. ეს გახმაურებული ამბავია...

— ჯანსუღ ჩარკვიანმა საქართველოში ბელა ახმადულინას რუსეთში აკრძალული ლექსები გამოსცა... ისიც გახმაურებულია, 60-იანი წლების ბოლოს, „ცისკარი“ „მე-8 პოლკმა“ რომ დახვრიტა, რამეთუ ჯანსუღმა ანტისაბჭოთა წერილი დაბეჭდა...

— რუსეთში „ანტისავეტჩიკთა“ ჯგუფი მაშინაც არსებობდა და ახლაც მრავლადაა ინტელექტუალი, რომელსაც რეჟიმი ყელში აქვს ამოსული... ამას წინათ, ერთმა თქვა, გზა ვიცი, რომლითაც აფხაზეთს დავაბრუნებო. მაინტერესებს, ეს რომელი გზაა — ისევ საბჭოთა სივრცეში შევიდეთ? გაიძახიან, ნატო-ს რას ჩააცივდითო. ვინ გითხრათ, რომ ნატო-ს ჩავაცივდით, მაგრამ ვინმემ იცის, თავდაცვის სხვა რა გზა გვაქვს? თუ იცით, გვითხარით! როგორც კი მარტო დარჩები, რუსეთი იმწუთას კრავთან ჩასაფრებული მგელივით იქცევა და ეს ბევრჯერ დაამტკიცა... აგერ, ჩეჩნეთი მიწასთან გაასწორა. ამიტომ ვლაპარაკობ, თორემ დასავლეთში არც მე დავბადებულვარ და მეც ის საბჭოთა ბავშვი ვარ, „ამერიკის ხმასა“ თუ „თავისუფლებას“ ჩუმად რომ უსმენდა...

...2012 წელს მხარი ხელისუფლების შეცვლას იმიტომ დავუჭირე, რომ მაგალითად, უდანაშაულო 14 წლის გვანცა ყუფარაძე არ დაეჭირათ. უმადურ ადამიანზე დიდი უბედურება არაფერია, ამიტომ სიმართლე ვთქვათ — პირველი ოქტომბრის შემდეგ, ხალხს მშვიდად სძინავს, თორემ მანამდე 4 კაცს თავში მოუვლიდა და შუაღამისას ვიღაცას შეუვარდებოდა, პროკურორი ადეიშვილი კი 30 ლარის გულისთვის ქალებს იჭერდა. ამ ინტერვიუში ეს რომ არ ვთქვა, კატასტროფა იქნება.

— ...ოდესმე შეგშინებია?

— საერთოდ, უშიშარი ადამიანი სულელი მგონია. რაღაცების შეიძლება, მეშინია, მაგრამ ეს გრძნობა ზოგადად არ მაქვს...

— ქართულ პოეზიას ხომ კარგად იცნობ?

— კი, კარგად.

— ჰოდა, ახლა ერთგვარ ტესტს ჩაგიტარებ: აბა, მითხარი, ვინაა ავტორი ლექსისა — „მტრედი პატარა დილაა“?

— (იღიმის) გაჩერდი, ახლა. ხომ იცი, რომ ამ თემას ტაბუ დავადე და არ ვილაპარაკებ!

— არც იმას შეაფასებ, კულტურის ყოფილი მინისტრი პრემიერის როგორი მრჩეველია?

— ჩემი მხრიდან უხერხული გამოვა...

...ვანო, გინდა, გითხრა, ირაკლი ალასანია ჩემს თვალსაწინაშეში, როგორც პოლიტიკოსი, პირველად როდის მოხდა? — აი, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, გაერო-ში ჩურკინს გაწიწმატებული რომ ეპაექრებოდა. საერთოდ, იმ განცხადებას, რომ ომი საქართველომ დაიწყო, ვერ ვიტან და ეს აბსოლუტურად მავნებლურ შეხედულებად მიმაჩნია. საქართველო, უბრალოდ, პროვოკაციას წამოეგო!

— ...ჯანსუღის შვილი რომ არ იყო, როგორი იქნებოდი?

— რა ვიცი... რა გითხრა... არ მახსოვს, ჯანსუღს რამეში შევეზღუდე და ეს დიდი ფუფუნებაა. კონსერვატორია რომ დავამთავრე, პირველ არხზე მუშაობა რიგით მუსიკალურ რედაქტორად დავიწყე. ამასობაში, საინფორმაციოსთვის კადრებს არჩევდნენ და ჯანსუღს ვკითხე, იქნებ, საინფორმაციოში გადავიდე-მეთქი. თავი გააქნია, არ გირჩევო. რატომ-მეთქი. მიპასუხა, შენი ხასიათით საინფორმაციოს ვერ აიტანო...

— ...ბევრი ადამიანი დაგიკარგავს?

— არა და ამით ბედნიერი ვარ.

— სულ არავინ?

— გთხოვ, ნუ მეკითხები... არის ერთი ადამიანი, მაგრამ არ ვილაპარაკებ, თუმცა დაკარგვისთვის არც ის მემეტება. გამორიცხულია, ოდესმე რამე ცუდისთვის გავიმეტო...

— თაკო, წეღან უნდა მეკითხა და დამავიწყდა: ნინო ბურჯანაძეს რომ აკრიტიკებ, მორალურ დისკომფორტს არ განიცდი? — ბოლოს და ბოლოს, ჯანსუღის ნათლულია.

— მამას ბევრი სხვა ნათლული ჰყავს... ჩვენ სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე აღმოვჩნდით... როცა გავარკვიე, ჩემი ქვეყნისთვის მე რა მინდოდა და სხვას — რა, ჩემი პოზიცია გამოვკვეთე, ეს, რა, დანაშაულია? იმიტომ, რომ ჯანსუღმა მონათლა, გორთან პუტინის ჯარის დადგომას მხარს ვერ დავუჭერ და რა ვქნა, რა გავაკეთო?! იქნებ, შენ დაუგდო ყური, ნათლიაშენი რას ამბობს? მამაჩემმა პირდაპირ უთხრა, 7 ნოემბერს უნდა გადამდგარიყავიო. მან კი, განაცხადა, დიახ, სახელმწიფო კარგად მოიქცაო. ჩემთვის კი, ხალხი 7 ნოემბერსაც გაანადგურეს და 26 მაისსაც. აი, ჩვენს შორის სწორედ ეს განსხვავებაა. იცი, ეჭვი რაზე მაქვს?

— რაზე?

— ვარდების რევოლუციის დროს, როცა თბილისში ივანოვი ჩამოვიდა და ჟვანია, ბურჯანაძე და სააკაშვილი შევარდნაძეს შეხვდნენ, ალბათ, გახსოვს, შეხვედრიდან გამოსულ ჟვანიასა და ბურჯანაძეს როგორი სახეები ჰქონდათ. მერე, შევარდნაძეს დააბრალეს, სააკაშვილი შენ გინდოდაო... ვეჭვობ, შევარდნაძისგან ჟვანიასა და ბურჯანაძის უგულებელყოფა მათი საგარეო კურსის გამო მოხდა. ვხედავ, ამ ქალს რეაქციული რუსეთი უნდა. მე კი ვამბობ, რომ ეს კურსი ჩემი პატარა ქვეყნისთვის დამღუპველია!

— ...თაკო, სხვას ირმა გიგანისნაირი შვილი რომ ჰყავდეს, ამ ქვეყნიდან საერთოდ წავიდოდა...

— ვანო, არ გრცხვენია, პოეტის შვილს ამას რომ მეუბნები?

— მე ისეთი შემოქმედებიც ვიცი, ხალხს ვიღაცების ჩაცხრილვისკენ რომ მოუწოდებენ...

— ამაზე ლაპარაკი არ მინდა...

— ირმას უცხოეთში რატომ არ უშვებ?

— ვერ ძლებს — მიდის, მაგრამ ბრუნდება...

ამას წინათ, ვიღაცამ Facebook-ზე დამიწერა, „მხედრიონს აპრავებდითო“, გამეცინა, მხედრიონი შინ შემომივარდა და როგორ „გავაპრავებდი“?

— თაკო, გადაცემა „2030“-ში რომ დაგპატიჟონ, მიხვალ?

— რა თქმა უნდა...

— და ასე მწვავედ ილაპარაკებ?

— ბუნებრივია — მინდა, ამ ადამიანამდე სწორი ინფორმაცია მივიდეს! ივანიშვილი ნიჭიერი კაცია და არ შეიძლება, უნიჭო რუსული რეაქციული სივრცე უნდოდეს, მაგრამ ნიჭიერი ხალხის გვერდით მუდამ უნიჭოები არიან და მასთან უნიჭო ინფორმაციები მიაქვთ ხოლმე!

— ოდესმე გავაზაფხულებთ?

— აუცილებლად, აბა, რა!

საქართველოში C ჰეპატიტის სოფოსბუვირით მკურნალობა იწყება!

რუსუდან შელია
557-100-768

საქართველოში უპრეცედენტო პროექტი იწყება — მომავალი წლის დასაწყისიდან, C ჰეპატიტთან საბრძოლველად, მედიკამენტი სოფოსბუვირი შემოვა და მისი შეძენა კოლოსალურ თანხებთან დაკავშირებული არ იქნება. ჯანდაცვის მინისტრის, დავით სეგრეენკოს განცხადებით, აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრთან მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და საერთაშორისო კომპანია „გილეადი“, C ჰეპატიტის სრული ელიმინაციის მიზნით, ზემოხსენებულ მედიკამენტს მოგვაწვდის. შეთანხმება ჯერჯერობით ოფიციალური ხელმოწერით არ გაფორმებულა და ამიტომ, სერგეენკო სრული მკურნალობის ღირებულებას ვერ აკონკრეტებს, თუმცა ამბობს, რომ მედიკამენტი მოსახლეობისთვის „უკიდურესად ხელმისაწვდომი“ იქნება. სხვათა შორის, აშშ-ში სოფოსბუვირით მკურნალობის ერთი კურსი 84 ათას დოლარი ჯდება, ეგვიპტეს კი, სადაც მოსახლეობის 40% C ჰეპატიტითაა დაავადებული, მედიკამენტს ასჯერ შემცირებულ ფასად — 900 დოლარად აწვდიან.

საქართველოში სრულყოფილი სტატისტიკა არ არსებობს — C ჰეპატიტით დაავადებულთა რაოდენობის დასადგენად, ბოლო კვლევა 2002 წელს ჩატარდა. ჯანდაცვის სამინისტროში განმარტავენ, რომ მომავალი წლის თებერვლიდან მუშაობა ამ მიმართულებითაც დაიწყება. დავით სერგეენკო ვარაუდობს, რომ ამ ეტაპზე, C ჰეპატიტით დაავადებულთა რიცხვი 7% ანუ 150 ათასი ადამიანია.

C ჰეპატიტთან მხოლოდ მედიკამენტოზური ბრძოლა ეფექტური ვერ იქნება. ამ აზრს დავით სერგეენკოც ეთანხმება და განმარტავს, რომ C ჰეპატიტთან ბრძოლის უპრეცედენტო პროექტი დაავადებულებისთვის მხოლოდ მედიკამენტის მიწოდებას არ გულისხმობს. პროგრამით, დაავადებული ადამიანის სრული მკურნალობის კურსი, მონიტორინგი და ასევე, დაავადების პრევენციაა გათვალისწინებული. ჯანდაცვის მინისტრი დაავადების სრული აღმოფხვრის სავარაუდო თარიღსაც აკონკრეტებს: **„C ჰეპატიტთან ბრძოლის პროგრამა ორ ეტაპად იყოფა: დიაგნოტსიკა და მკურნალობა. მკურნალობის ხელმისაწვდომობის გარდა, დიაგნოსტიკის ფასიც ჩამოიწევს. ამ მხრივ ორ ვარიანტზე ვმუშაობთ — ან დიაგნოსტიკის ღირებულება ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამაში ჩაერთვება ან ცალკე პროგრამა შეიქმნება. რაც შეეხება შედეგს, C ჰეპატიტის დაავადების სიიდან სრული აღმოფხვრისთვის, დაახლოებით, ორი წელიწადზე ოდნავ მეტი დაგვჭირდება. აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრთან მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემდეგ, ტექნიკური სამუშაოების შესრულებაღა დაგვრჩება, რაც მედიკამენტზე მაქსიმალურ კონტროლს მოიცავს. არსებობს რისკი, გარკვეულმა ჯგუფმა მედიკამენტის ქვეყნიდან არალეგალურად გატანა სცადოს. ბუნებრივია, სოფოსბუვირი უამრავი სახელმწიფოსთვის მიმზიდველია. ამიტომ ამის პრევენციისთვის, საკმაოდ მკაცრად ავტორიზებული სისტემა შეიქმნება. მკაცრად გაკონტროლდება, მედიკამენტი რეალურად დაავადებულ პაციენტს მიეწოდა თუ არა“.**

რატომ გადაწყდა უპრეცედენტო და უამრავი სახელმწიფოსთვის მიმზიდველი პროექტის საქართველოში განხორციელება? — ამას დავით სერგეენკო რამდენიმე ფაქტორით ასაბუთებს: 1. სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ჯანდაცვის სისტემის სრულყოფაა, რაც ბოლო ორ წელში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამუშავებითა და პენიტენციალურ სისტემაში პატიმრების უფასო მკურნალობის შემდეგ, განსაკუთრებით გამოიკვეთა. 2. დაახლოებით ათ წელიწადზე მეტია, საქართველოში შიდსის ელიმინაციის პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს. ეს პროგრამა სხვა სახელმწიფოშიც ხორციელდება, მაგრამ ყველაზე ეფექტური საქართველო აღმოჩნდა. 3. საქართველო აქტიურადაა ჩართული ჯანდაცვის გლობალური უსაფრთხოების პროექტებში და საქართველოში C ჰეპატიტთან ბრძოლის პროექტის დასაწყებად, წამყვანი სახელმწიფოების ჯანდაცვის ინსტიტუტებიც ჩაერთნენ.

მინისტრის ინფორმაციითვე, ხელშეკრულებას ხელი იანვარ-თებერვალში მოეწერება. საქართველოში უკვე იმყოფებოდნენ „გილეადის“ წარმომადგენლები, რომლებმაც არსებული მდგომარეობა ახალი პროექტის დასაწყებად დადებითად შეაფასეს. პროექტის ფარგლებში, ექიმები როგორც თბილისში, ასევე რეგიონებშიც გადამზადდებიან. პარალელურად, მკაცრად გაკონტროლდება რისკის მქონე ობიექტები, მათ შორის, კოსმეტიკური სალონები და სტომატოლოგიური კაბინეტები.

შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს ამერიკელებმა სპეციალური ტაქტიკური აღჭურვილობა აჩუქეს

შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან არსებულმა ანტინარკოტიკული და სამართალდამცავი პროგრამების საერთაშორისო ბიურომ (INL) საჩუქრად სპეციალური ტაქტიკური აღჭურვილობა გადასცა. მიღება-გადაცემის ცერემონია განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თბილისის განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ბაზაზე გაიმართა. აღჭურვილობის მიღების დოკუმენტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ხელი მოაწერა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორმა, პოლკოვნიკმა კონსტანტინე მახარაშვილმა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხრიდან – ანტინარკოტიკული და სამართალდამცავი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს უფროსმა მრჩეველმა პოლიციის საკითხებში მაიკლ ტერნერმა. შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტთან თითქმის ორი წელია აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ს საელჩოს „INL“-ის პროგრამა. მათი დაფინანსებით განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები სხვადასხვა სფეროში: მასების მართვა, კრიზისულ სიტუაციებში მოლაპარაკებები, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკური კურსი და მენეჯმენტის კურსი. მხარეებმა ღონისძიების მსვლელობისას ასევე განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის მიმდინარე პროექტები, აღნიშნეს მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მექანიზმის განვითარების საქმეში და თანამშრომლობის სამომავლო გეგმები დასახეს. შეხვედრის დასასრულს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორმა კონსტანტინე მახარაშვილმა აშშ-ის საელჩოს ISG-ის პროგრამის წარმომადგენლებს შს სამინისტროს სახელით კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის.

„ვერსიანიუსი“

„ნაბეღლავის“ ორგანიზებული ფოტოკონკურსის გამარჯვებულები გამოავლინეს

14 ნოემბერს, „ნაბეღლავმა“ ფოტოკონკურსში „მიქსტერია — გააგრძელე ზაფხული“, გამარჯვებულებს სპეციალური პრიზებით ოფიციალურად დაავჯილდოვა. კონკურსი „მიქსტერია — გააგრძელე ზაფხული“, სამი კვირის განმავლობაში, სოციალურ ქსელში, „ნაბეღლავის“ ოფიციალურ გვერდზე მიმდინარეობდა.

„გამოიყენე „ნაბეღლავის“ მინერალური წყალი თქვენთვის სასურველი კოქტეილის მომზადებისას, გადაუღე ლამაზად გაფორმებული ფოტო, გამოგვიგზავნე და დაელოდე გამარჯვებას“, — ეს იყო მარტივი მოთხოვნა, რომელიც კომპანიამ მონაწილეებს დაუწესა. კონკურსში მონაწილეობა ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის საინტერესო აღმოჩნდა. მათ, რომლებსაც კრეატიული ხედვები და განსაკუთრებული ფანტაზიის უნარი გააჩნდათ, „წყალმა მარგებელმა“ ნიჭისა და შემოქმედების გამოვლენის შესაძლებლობა მისცა.

კონკურსანტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, შესაბამის ელექტრონულ მისამართზე, თავისი ხედვებისა და ფანტაზიის შესაბამისად შექმნილი კოქტეილის ფოტო გაეგზავნათ, რომლის აუცილებელი ინგრედიენტი „ნაბეღლავის“ მინერალური წყალი უნდა ყოფილიყო. საბოლოოდ, სამკვირიანი შეჯიბრის შედეგად, კონკურსში 36-მდე ნამუშევარი შემოვიდა, მათგან კი ჟიურის მოწონება ოთო გორდელაძისა და ზურაბ ლოლაძის ნამუშევრებმა დაიმსახურა.

„მიქსტერია — გააგრძელე ზაფხული“ უკვე დასრულდა

კომპანია „წყალი მარგებელის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, **ვიქტორია ჟიჟკომ** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ფოტოკონკურესი წამახალისებელი იყო:

„კოქტეილის მომზადებისას, ბარმენები „ნაბეღლავს“ აქამდეც ხშირად იყენებდნენ. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, ამ პროცესში ჩვენი პროდუქციის რიგითი მომხმარებლებიც ჩაგვერთო. ყველას თავისი გემოვნების მიხედვით შეეძლო გამოეყენებინა მინერალური წყალი და კრეატიულად გაფორმებული ფოტო გამოეგზავნა ჩვენს ელექტრონულ მისამართზე. კომპანიის სახელით, გვინდა გამარჯვებულებს მივულოცოთ, ხოლო ყველა სხვა მონაწილეს მადლობა გადავუხადოთ კონკურსში მონაწილეობისთვის. „ნაბეღლავი“ მომავალშიც აუცილებლად ჩაატარებს მსგავსი სახის სხვა კონკურსებს, რომლებსაც უფრო მასშტაბური ხასიათი ექნება“.

„ნაბეღლავის“ ფოტოკონკურსში გამარჯვებულებმა — ოთო გორდელაძემ და ზურაბ ლოლაძემ, 14 ნოემბერს, რესტორან „ლოფტში“ კიდევ ერთხელ მოამზადეს კოქტეილები, რომლის

მთავარი ინგრედიენტი მინერალური წყალი „ნაბეღლავი“ იყო. „წყალი მარგებელის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ვიქტორია ჟიჟკომ, გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები — „გალაქსი TAB 4“ და შეიკერი გადასცა.

„ნაბეღლავის“ ფოტოკონკურსის გამარჯვებულმა, 28 წლის **ზურაბ ლოლაძემ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ მსგავსი ტიპის კონკურსში პირველად არ მონაწილეობს. შარშან, „მაგთის“ ფოტოკონკურსში მონაწილეობდა და გაიმარჯვა კიდეც. მართალია, კოქტეილები აქამდე არ მოუმზადებია, მაგრამ „ნაბეღლავის“ ფოტოკონკურსის ხათრით, მოამზადა და გაიმარჯვა კიდეც. კოქტეილი, რომლის მთავარი ინგრედიენტი „ნაბეღლავი“ იყო, შეიცავდა პიტნას, ლაიმს და ვაშლის წვენს. ამ კოქტეილს ზურაბ ლოლაძემ HEALTH უწოდა, რაც ქართულად ჯანმრთელობას ნიშნავს. სახელწოდება ექსპრომტად შეარჩია და კითხვაზე, რატომ მაინცდამაინც HEALTH, გვიპასუხა — იმიტომ, რომ კოქტეილი ალკოჰოლურ სასმელს არ შეიცავს.

„ნაბეღლავის“ ფოტოკონკურსის მეორე გამარჯვებული, 29 წლის **ოთო გორდელაძე** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ფოტოკონკურსში პირველად არ მონაწილეობს, მაგრამ აქამდე არ გაუმარჯვია. კოქტეილს, რომელიც ოთომ რესტორან „ლოფტში“ მოამზადა, „მიქსტერია“ უწოდა და აგვიხსნა, რომ ეს ჩვეულებრივი ჯინ-ტონიკია, ოღონდ ჯინის ნაცვლად, „ბიფიტერი“ გამოიყენა, ტონიკის ნაცვლად — მინერალური წყალი „ნაბეღლავი“. კოქტეილს მცირეოდენი შაქარი, ლიმონი და პიტნა დაუმატა.

მაია მიშელაძე

„ავტოლიზინგი — შენი ახალი მერსედესი“ — სრულიად ახალი პროდუქტი ქართულ ბაზარზე

„საქართველოს საციზინგო კომპანიისა“ და „მერსედეს ბენცის“ ინოვაცია საქართველოში პირველად, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის

პირველად საქართველოში, ამიერიდან, „მერსედესის“ შეძენას ლიზინგით შეძლებთ — „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ და „მერსედეს ბენცის“ ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს, გთავაზობთ სრულიად ახალ პროდუქტს – „ავტოლიზინგი – შენი ახალი მერსედესი“.

„ავტოლიზინგი – შენი ახალი მერსედესი“ მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, ისარგებლოს ე.წ. trade in-ით. „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ დირექტორის, **თიკო გოგეჯიშვილის** განმარტებით, trade in ნიშნავს შემდეგს: **„ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია მერსედესის ცენტრში შეიძინოს ნებისმიერი ახალი ავტომობილი, დროთა განმავლობაში, სურვილის შემთხვევაში კი, შესაძლებლობა ექნება, შეძენილი მოდელი დააბრუნოს და ახალი ავტომობილით შეცვალოს. მომხმარებელს ასევე შეუძლია გამოისყიდოს და მუდმივ სარგებლობაში დაიტოვოს ლიზინგით შეძენილი ავტომობილი. პირველად საქართველოში, ლიზინგით, სრულიად ახალი „მერსედესის“ შეძენა მხოლოდ მინიმალური ყოველთვიური სალიზინგო გადასახადითა და ავტომანქანის ღირებულების მხოლოდ 10%-ის გადახდის (თანამონაწილეობის) საფუძველზეა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ყოველთვიური სალიზინგო გადასახადი ასევე ფარავს გაფორმების, იურიდიულ, შეძენასთან დაკავშირებულ, სადაზღვევო და სხვა ხარჯებს. მნიშვნელოვანია, რომ ავტომანქანით სარგებლობის პერიოდში, 6 თვეში ერთხელ, მომხმარებელი სრულიად უსასყიდლოდ შეძლებს „მერსედეს ბენცის“ ცენტრში ავტომანქანის დიაგნოსტირებას“.**

საქართველოში „მერსედესის“ წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა დავით ჩიქოვანმა, „საქართველოს სალიზინგო კომპანიასთან“ ერთად მომხმარებლისთვის შეთავაზებულ ახალ პროდუქტს, ქართულ ბაზარზე ახალი სიტყვა უწოდა.

დავით ჩიქოვანი: „ეს პროდუქტი საქართველოს ბაზარზე ახალი სიტყვაა. „მერსედესი“ პრემიუმკლასის ბრენდია, რომელმაც 2013 წელს, თავისი გაყიდვების ისტორიაში რეკორდი მოხსნა. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ „მერსედესმა“ უდიდესი ნახტომი გააკეთა და სხვა საავტომობილო ბრენდებთან შედარებით კიდევ უფრო წინ წავიდა: გაუუმჯობესა ტექნიკური თუ უსაფრთხოების პარამეტრები, დიზაინი. ლიზინგი „მერსედეს ბენცთან“ ერთად ნიშნავს მინიმალურ პირველად შენატანს, ყოველთვიური გადასახადის დაბალ მაჩვენებელს, რაშიც შედის დაზღვევაც. ლიზინგით ავტომობილს დაახლოებით 25-27%-ით იაფად შეიძენთ. ეს ნამდვილად რევოლუციური პროდუქტია ქართულ საავტომობილო ბაზარზე — ჩვენი მომხარებლისთვის, „მერსედესი“ ასეთი მისაღები ტარიფებით არასდროს ყოფილა ხელმისაწვდომი. ავტოლიზინგი მსოფლიო ბაზარზე ძალიან პოპულარულია. მსოფლიოს მომხმარებელთა 80% სწორედ ლიზინგით სარგებლობს. ევროპასა და ამერიკაში, ცნება — ავტოგანვადება, თითქმის არ არსებობს. ყველას შეუძლია გაიყვანოს ავტომანქანა ლიზინგით, რადგან ეს გაძლევს შესაძლებლობას, გარკვეული პერიოდის შემდეგ ავტომობილი დააბრუნო და არც მის რეალიზაციაზე გიწევს ფიქრი“.

„ავტოლიზინგი – შენი ახალი მერსედესის“ ვადა განისაზღვრება მაქსიმუმ 72 თვით. ავტოლიზინგით სარგებლობისას მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს შეამციროს ყოველთვიური სალიზინგო გადასახადი თანამონაწილეობის (პირველადი შენატანის) გაზრდის ხარჯზე. მაგალითად, თუ მომხმარებელი აირჩევს 30%-იან თანამონაწილეობას, 72 თვის განმავლობაში, ყოველთვიურად, სალიზინგო გადასახადი იქნება მხოლოდ 287 ევრო.

„ავტოლიზინგი – ახალი მერსედესით“ სარგებლობისთვის უნდა ესტუმროთ „მერსედეს ბენცის“ ცენტრს თბილისში, სადაც შეარჩევთ ან შეუკვეთავთ სასურველ მოდელს, „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ კი, ზედმეტი პროცედურების გარეშე, გაგიფორმებთ ავტოლიზინგს.

ნინო ლურსმანაშვილი

საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს ათვისება სასიცოცხლოდ აუცილებელია

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების — „სიპი“-ს ცენტრის მკვლევარებმა — ლევან კალანდაძემ, ირაკლი ლექვინაძემ და „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ პრეზიდენტმა ნოდარ ჭიჭინაძემ კომპანია „არემჯი გოლდის“ საქართველოში საქმიანობის შესახებ, ვრცელი კვლევა წარმოადგინეს. ამ კვლევის მიხედვით, საზოგადოება დარწმუნდება, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს ათვისება სასიცოცხლოდ აუცილებელია, რათა კომპანიაში დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა არ შემცირდეს და „არემჯიმ“ რეგიონში დაწყებული მნიშვნელოვანი სოციალური აქტივობაც გააგრძელოს.

„არემჯი გოლდის“ საქმიანობის, ოქროს მოპოვება-წარმოებისა და კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციების კვლევის შედეგები

„ვერსიასთან“ საუბრისას, **ირაკლი ლექვინაძემ** აღნიშნა, რომ კომპანია „არემჯის“ საქმიანობა საქართველოში 2011 წლიდან დაიწყო, როდესაც 2011 წლის ოქტომბერში, ბოლნისის რაიონში, ძვირფას და სამრეწველო ლითონებზე გეოლოგიურ-საძიებო და მოპოვების ლიცენზია მოიპოვა. სახელმწიფო აუქციონზე, ლიცენზიის საწყისი ფასი 30 000 000 ლარი იყო, რომელიც კომპანიამ 93 500 000 ლარად შეიძინა. 2012 წლის თებერვალში, 110 500 000 ლარად, მადნეულისა და საყდრისის კარიერებში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის 27-წლიანი ლიცენზია შეიძინეს, რომელიც ძალაში 2015 წლის იანვრიდან შევა. 2012 წლის ივნის-აგვისტოში, კომპანია „არემჯიმ“, „გეოპრომაინინგ გრუპისგან“, 120 000 000 აშშ დოლარად, სს „მადნეული“ და სს „კვარციტი“ შეიძინა:

„2009-2013 წლებში, კომპანია „არემჯის“ წარმოებული ოქროს მოცულობა შემცირდა. თუ საბაზისო წლად 2009 წელს ავიღებთ, წარმოების შემცირების მოცულობამ 2010 წელს — 23%, 2011 წელს — 45%, 2012 წელს — 57%, 2013 წელს კი — 59% შეადგინა. ვერცხლის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა 2010 და 2011 წლებში. 2009 წელთან შედარებით, შემცირება 2012 წელს — 15%-ით და 2013 წელს — 2%-ით დაფიქსირდა. წარმოების შემცირების ძირითად მიზეზად, ლიცენზირებულ კარიერებში არსებულ მადანში ოქროს შემცველობის შემცირება სახელდება. არსებული მადნების მოპოვება უფრო რთულია და შესაბამისად, უფრო ძვირი ჯდება. აქედან გამომდინარე, კომპანიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახალი საბადოების ათვისება, რადგან კომპანიის ფუნქციონირება სრულფასოვნად გაგრძელდეს. გარდა ამისა, მადნის მოპოვებისა და გადამუშავების მიმართულებით ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის უზრუნველსაყოფად, დამატებითი ინვესტიციებიც მოიზიდოს“, — განუცხადა „ვერსიას“ **ირაკლი ლექვინაძემ**.

მისი თქმით, 2013 წელს რეალიზებული ოქროს მოცულობა, 2009 წელთან შედარებით, 57%-ით შემცირდა, ხოლო რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები — 36%-ით. ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, 2006 წლის შემდეგ, საქართველოდან დაუმუშავებელი და ნახევრადდამუშავებული ოქროს ექსპორტის დინამიკა ასეთია: მაქსიმალური შემოსავალი ფიქსირდება 2009-2010 წლებში. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ოქროს ფასები საერთაშორისო ბაზრებზე პიკზე იყო. ოქროს ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მიმდინარე, 2014 წელს ფიქსირდება, 8 თვეში — 24 000 000 აშშ დოლარით, რაც მთლიანი ექსპორტის 1.25%-ია. პროდუქცია ყველაზე მაღალი წილით 2009 წელს იყო წარმოდგენილი — 10.7%, ამ დროისთვის ის საექსპორტო პროდუქტების ათეულშიც ფიქსირდებოდა. საუკეთესო წლებში, ოქროს ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი 116 200 00 აშშ დოლარი (2009 წ.) და 117 700 000 აშშ დოლარი (2010 წ.) იყო. კომპანია „არემჯი“, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის უმსხვილესი გადამხდელია. 2009-2013 წლებში, კომპანიის მიერ გადახდილი გადასახადების მოცულობა 361 000 000 ლარი იყო. კომპანიაში 3 000-მდე თანამშრომელია დასაქმებული:

„კომპანია ასევე ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალური ბიუჯეტის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია, რადგან ადგილობრივი შემოსავლების 70%-ზე მეტი, სწორედ კომპანიის მიერ გადახდილი ქონებისა და ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის შედეგად ივსება. კომპანიის სამრეწველო და ფინანსური აქტივობის პიკზე, 2011-2012 წლებში, ადგილობრივ და სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილმა გადასახადებმა 133 000 000 და 142 000 000 ლარი შეადგინა. 2013 წლის დაბალი მაჩვენებელი კი წარმოების მოცულობების შემცირებით იყო გამოწვეული. კომპანიაში დასაქმებული ადამიანების 80% ადგილობრივი მოსახლეობაა, კომპანია საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად წარმოების მოცულობის საგრძნობი შემცირებისა, თანამშრომლების რიცხოვნება და მათზე გადახდილი ხელფასები, პრაქტიკულად, არ შეცვლილა“, — აცხადებს ირაკლი ლექვინაძე.

მისი თქმით, კომპანია „არემჯისთვის“, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უკვე გამოკვლეული საყდრისის საბადოს ექსპლუატაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია იძულებული გახდება, თანამშრომელთა რაოდენობა გაანახევროს, რაც მკვეთრად გააუარესებს სოციალურ ფონს და მნიშვნელოვნად გაზრდის სიღარიბის მაჩვენებელს, როგორც დმანისის, ასევე ბოლნისის რაიონებში.

სხვადასხვა ქვეყნებში სამთო დარგის აქტივების შეძენის პარალელურად, კომპანია „არემჯის“ ახლანდელმა მფლობელებმა, საქართველოს სამთამადნო დარგში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელეს. მხოლოდ გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებში, მათ შორის საყდრისის საბადოზე, კომპანიამ 20 000 000 აშს დოლარის კაპიტალდაბანდება უკვე განახორციელა. დაახლოებით, 20 000 000 აშშ დოლარი მოხმარდა საყდრისის ტერიტორიაზე ახალი გადამამუშავებელი საწარმოს შექმნას, რომლის ფუნქციონირებაც საყდრისი-ყაჩაღიანის მადნის გარეშე, სრულიად არაპროდუქტიულია და მოკლე ხანში მისი დახურვაც გარდაუვალი იქნება. ამ პროექტის საშუალებით, პირველად ქვეყნის ისტორიაში, სუფთა, ე.წ. კათოდური სპილენძის საწარმო დაფუძნდება. 2015 წელს, ამ საწარმოს 25 000 000 აშშ დოლარის დამატებითი ინვესტიციაც მოხმარდება:

„2006-2012 წლებში, კომპანია „არემჯიმ“ 14 202 000 ლარის სოციალური პროექტები განახორციელა. წელიწადში, საშუალოდ, მილიონიდან ორ მილიონ ლარამდე ქველმოქმედებას ხმარდება. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება სპორტის, კერძოდ, საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრები გუნდის მხარდაჭერას. გარდა ამისა, განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღების საგანს წარმოადგენს კულტურული, შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროექტები. კომპანიის პრიორიტეტია გარემოზე ზრუნვა. ეკოლოგიურ პროექტებში, „არემჯიმ“ ბოლო ოთხ წელიწადში, მილიონობით აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. კომპანია უძველესი ქართული კულტურული ძეგლების შენარჩუნებასა და აღდგენაზეც ზრუნავს“, — გვიამბობს ირაკლი ლექვინაძე.

2012-2014 წლებში, „არემჯიმ“ სოციალურ პროექტებზე 406 000 ლარზე მეტი დახარჯა. აღნიშნული თანხიდან, 369 000 ლარი, ბოლნისის რაიონში სხვადასხვა სახის სოციალური პროექტების, საქველმოქმედო ორგანიზაციების, ბოლნისის ეპარქიის, რეგიონში სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას მოხმარდა. დარჩენილი თანხა, ანუ 36 559 030 ლარი „არემჯიმ“ რეგიონში სოციალურად დაუცველი ფიზიკური პირების მატერიალურ დახმარებაში დახარჯა.

ირაკლი ლექვინაძის განმარტებით, საყდრისის საბადოს აღმოჩენა, მრავალწლიანი, მრავალმილიონიანი ინვესტიციებისა და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების შედეგია. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, წარმოებისთვის სხვა ალტერნატიული სარესურსო ბაზა კომპანიას არ გააჩნია და შესაბამისად, ამ საბადოს სრულფასოვნად ათვისება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ირაკლი ლექვინაძე აცხადებს, რომ საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბნის ათვისება, კომპანია „არემჯის“ გადარჩენის, ასევე ქვეყნისა და რეგიონისთვის სარგებლის შენარჩუნების ერთადერთი საშუალებაა.

ვერსიანიუსი

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოსა და თბილისს მთელი კავკასია ტოლერანტობის ცენტრად იცნობდა“

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განაცხადა, ეს დღე კიდევ ერთხელ შეგვახსენებს სხვადასხვა კულტურებს, სხვადასხვა ცივილიზაციებს შორის პატივისცემის, დიალოგისა და თანამშრომლობის აუცილებლობას.

„საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანას ამის დიდი ტრადიცია აქვს. საქართველოს და თბილისს ტოლერანტობის ცენტრად იცნობდა მთელი კავკასია. თბილისი იმ ღირებულებებით ცხოვრობდა, რომლისთვისაც უცხო იყო რელიგიური და ეთნიკური ნიშნით შეუწყნარებლობა. თბილისისთვის ყოველთვის ორგანული იყო უმცირესობების პატივისცემა. ტოლერანტობა ის დემოკრატიული ღირებულებაა, რომლის დასამკვიდრებლადაც ჩვენ დიდი ძალისხმევა არასოდეს დაგვჭირვებია და დარწმუნებული ვარ, არც არასოდეს დაგვჭირდება. ეს არ არის მხოლოდ სიტყვები — თბილისში, ერთ, სულ პატარა უბანში, საუკუნეებია გვერდიგვერდ იდგა და დგას სინაგოგა, მეჩეთი, სომხური სამოციქულო ეკლესია და მართლმადიდებლური ტაძარი. აქ, ჩვენს ქალაქში, ერთ ეზოში, ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ ებრაელები, სომხები, იეზიდები, ასირიელები, რუსები, უკრაინელები და სხვები, რომლებიც მეგობრობდნენ და ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ. ასე გრძელდება დღესაც და ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ვიამაყოთ ამით. ტოლერანტობა, რომელიც უკვე ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილია, გვავალდებულებს, დავიცვათ და მომავალს შემოვუნახოთ ეს შესანიშნავი ტრადიცია. ვიცი, არსებობს ეს ინიციატივა და მივესალმები, რომ ჩვენს დედაქალაქში, ამ სკვერს მიენიჭოს ტოლერანტობის სახელი. ჩვენი მხრივ, ეს იქნება ამ დიდი ტრადიციის ერთგულების კიდევ ერთი დადასტურება“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“

26 მაისის მიტინგზე ნაციონალებმა „ზონდერებად“ გლდანის ციხის პატიმრები გამოიყენეს?!

როგორ ანათებდა ფული მიშას ციხეს

პატიმარი №0578

მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, ზონდერების თემამ თითქოს მიიძინა, მაგრამ კულუარებში ღიად საუბრობენ, რომ ნაციონალური მოძრაობიდან „ქართულ ოცნებაში“ გადაბარგებული ადამიანები ჩუმ-ჩუმად ზონდერ-ბრიგადებს ისევ ქმნიან. არავინ იცის, ეს რისთვის სჭირდებათ: კონკრეტულ მომენტში ხელისუფლებას საკუთარი „სამსახური“ შესთავაზონ თუ ისევ ხელისუფლებას შეუტრიალონ. ასეა თუ ისე, ფაქტია, ზონდერების თემა ისევ და თან ძალიან გააქტიურდა...

2011 წლის 26 მაისის დარბევისთვის ხელისუფლებამ მზადება სპონტანურად დაიწყო. გლდანის ციხეში ე.წ. ყაზარმული იყო გამოცხადებული. ყველა კამერას რადიო ჩამოართვეს და კამერა გააფრთხილეს, თუ გარედან ციხეს მომიტინგეები მოადგნენ, პასუხის გაცემა არ გაბედოთო. ის, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო, პატიმრებიც გრძნობდნენ, მაგრამ მათი მთავარი პრობლემა კომუნიკაციის არქონა იყო ანუ არავის ჰქონდა გარანტია, ვინმეს ხმაური რომ დაეწყო, სხვა კამერა აჰყვებოდა...

პატიმარი 0578 „დ“ კორპუსზე იჯდა და ადვოკატის საშუალებით გარეთ მიმდინარე პროცესებზე თითქმის სრული ინფორმაცია ჰქონდა. მის კამერაში ორი მოხუცი, ერთი 18 წლის ბავშვი, ერთი ნარკომანი და ერთი წყალბურთელი დათო მ. იჯდა. წყალბურთელის ისტორია ძალიან საინტერესოა: ქუჩაში მის ცოლს ვიღაც მთვრალმა შეაგინა, ამან ლაზათიანად სცემა და ხულიგნობისთვის სამი წელი მიუსაჯეს. კი ამბობდა ხოლმე, ის „ვიღაც“ გიგა ბოკერიას ნათესავი რომ არ გამომდგარიყო, „სროკზე“ არავინ გამიშვებდაო.

25 მაისს, დილით, დათო საკნიდან გაიყვანეს და უკან ორ საათში დააბრუნეს. ნაცემი ძაღლივით შემოვიდა მთასავით ვაჟკაცი, იწრიალა, იწრიალა, მერე კი პატიმარ 0578-ს მიუჯდა, ტუჩები ყურთან მიუტანა და აჩურჩულდა:

„ასე მითხრეს, დღეს გვჭირდება შენი ჯანიო. რუსთაველზე ხალხი უნდა დაარბიონ და თუ ჩვენს გვერდით იქნები, სროკს გაგინახევრებთო. თუ დავთანხმდები, აქ ჩემი ცოლი უნდა მოვიდეს და სანამ უკან არ დავბრუნდები, აქ უნდა დარჩეს ანუ გაქცევა გამორიცხულია. თუ არ დავთანხმდები, სროკს დაგიმატებთო. რა ვქნა, მითხარი? ხომ იცი, ესენი ყველაფერზე არიან წამსვლელები“.

პატიმარი 0578 ჩაფიქრდა, შემდეგ დათოსკენ დაიხარა და უთხრა:

„ასეთ რამეზე რჩევა გამორიცხულია. შენ უნდა გადაწყვიტო, გიღირს თუ არა და და თუ მაინც გადაწყვეტ წასვლას და მგონია, რომ დათანხმდები, ცოლზე უარი უთხარი, ძმა მოვიდეს ჩემი-თქო. იმიტომ მგონია, რომ დათანხმდები, წეღან თქვი, ესენი ყველაფერზე არიან წამსვლელიო და ნაფიქრი გაქვს შენ მაგაზე, გადაწყვეტილებაც მიღებული და ახლა ის გინდა, მეც დაგეთანხმო და მართალი იყო საკუთარ თავთან. მე უარს ვიტყოდი, შენი საქმის შენ იცი...“

ამის თქმა იყო და, კამერის კარი გაიღო. ამჯერად პატიმარ 0578-ს უხმეს. ადმინისტრაციის კორპუსის პატარა ოთახში რეჟიმის უფროსი, ოლეგ ფაცაცია ელოდა.

„ხომ იცი, რამხელა სროკი გაქვს. დღეს წამოდი ჩვენთან ერთად, დაგვეხმარე და ხომ გაგიგია, ხელი ხელს ბანსო... მე გპირდები, სხვაც დაგპირდება, რომ სროკს გაგინახევრებთ, დანარჩენი შენ გადაწყვიტე“, — პირდაპირ უთხრა პატიმარს.

პატიმარმა თავი დახარა, შემდეგ ფაცაციას შეხედა და იმ სიტუაციაში, რაც შეიძლებოდა მშვიდად უპასუხა: „ერთადერთ შემთხვევაში წამოვალ. ჩემი არც ერთი ოჯახის წევრი აქ არ მოვა და არ ჩამანაცვლებს და მეორეც, სროკს მთლიანად მიხსნით და მიხსნით ახლავე ანუ დაახლოებით, ერთ საათში. ამ პირობას შენ კი არ მაძლევ, არამედ კაცი, რომელსაც მე გეტყვი. ყველაფერ ამას დაესწრება ჩემი ადვოკატი, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი და საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენელი. ვიცნობ საელჩოში ერთ კაცს და მოვა უპრობლემოდ.“

„შენ თავი ყველაზე ჭკვიანი გგონია, ხო? საელჩოს წარმომადგენელს მოიყვან და ეტყვი, რაც ხდება ხო?! შენს თავს დააბრალე, რაც მოგივა. გათენდება 27 მაისი და შენ ისევ აქ ეგდები, ჩემს ხელში“, — ჩაისისინა ფაცაციამ და პატიმარი საკანში დააბრუნეს.

შებინდებისას, კამერიდან დათო გაიყვანეს, პატიმარი 0578 კი დატოვეს და დაპირდნენ, შენ ხვალ მოგაკითხავთო.

26 მაისის სისხლიანი კალო ყველას ემახსოვრება. 27 მაისს პატიმარი 0578 საკნიდან გაიყვანეს და ამჯერად ციხის დირექტორს, ალექსანდრე მუხაძეს, იგივე „ქილერას“ მიჰგვარეს.

„შენ შეგიძლია დანაშაული გამოისყიდო. რამდენიმე პატიმარი ბუინობს, მაგათი ახლობლები დაიხოცნენ 26-ში და უნდა შეეცადო, დააწყნარო, აუხსნა, რომ ახლა სხვა დროა და არაფერი გამოვა, არც სახალხო დამცველი უშველის“, — უთხრა მუხაძემ.

„ადვოკატი შემახვედრეთ და შემდეგ, იმ კამერაში შემიშვით, სადაც ეგ პატიმრები სხედან, — უპასუხა 0578-მა და იქვე დააყოლა — დათოს რა დაემართა, კამერაში აღარ დაუბრუნებიათ?!“

„ადვოკატი ერთ საათში აქ იქნება, ტელეფონის ნომერი მითხარი. დათოს რაც შეეხება, არ არის შენი საქმე“, — უთხრა მუხაძემ და ერთ საათში პატიმარი 0578 ადვოკატს ესაუბრებოდა. ერთი ეგ იყო, ბოლოს, ვიდრე ადვოკატი ოთახიდან გავიდოდა, პატიმარმა ყურში რაღაც უჩურჩულა და ოფიცრებმა მხოლოდ ადვოკატის გაოცებული სახე დაინახეს, გაგებით კი ვერაფერი გაიგეს.

პატიმარი 0578 „ა“ კორპუსზე გადაიყვანეს და იმ კამერაში შეუშვეს, რომელშიც ორი პატიმარი ყველაფერს ანგრევდა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლის მოსვლას ითხოვდა. ახლადშესულმა მოულოდნელად ოფიცერს სთხოვა, ჩემს კორპუსზე ოფიცერი გია რომ არის, იმას დაუძახეთ, საქმე მაქვსო. გია მალე მოვიდა, პატიმარმა რამდენიმე წინადადება იმდენად ჩუმად უთხრა, რომ გიამაც ძლივს გაიგო, მერე პატიმარს თვალებში ჩახედა და თავი დაუქნია...

ახალ კამერაში 0578 თითქმის ერთი საათი ჩუმად იყო, მხოლოდ იმათ აკვირდებოდა, ვისაც ვერაფრით აჩერებდნენ, ბოლოს კი ჩუმად, მაგრამ გასაგებად დაიწყო.

„მე პატიმარი 0578 ვარ და აქ იმიტომ მომიყვანეს, რომ როგორმე გაგაჩეროთ. სახალხო დამცველის წარმომადგენლის მოთხოვნა სისულელეა, ძალიან დიდი სისულელე, რადგან ისიც ამათია, არაფერი გამოვა. რომელიმე საელჩოს წარმომადგენელი მოითხოვეთ და როცა შემოვა, საბუთი სთხოვეთ, ვინმე რიგითი უცხოელი რომ არ შემოგტენონ. მე აქ დიდხანს აღარ გამაჩერებენ, რადგან სავარაუდოდ, კამერა ისმინება, მაგრამ კიდევ გეუბნებით, სახალხო დამცველის თანამშრომელი ვერაფერს გიშველით“, — თქვა 0578-მა და საკნის კარიც გაიღო. პატიმარი უხმოდ გაიყვანეს და კარცერის გზას გაუყენეს. კარცერში მას მუხაძე ელოდა.

„შენ შეეცი ჩემ დედას, თუ აქედან ცოცხალი გაგიშვა. აქ თუ არ დაგალპო შე ნაბიჭვარო“, — იღრიალა მუხაძემ და პატიმარს ხელი გაარტყა. თავისი „გაბარიტების“ გამო, მუხაძე კარგი დამრტყმელ-გამრტყმელი არ იყო და ამიტომ, პატიმარს დიდად არ ტკენია. კარცერის კარი დაიხურა და კარს იქიდან მუხაძის ხმა გაისმა: „სრული ოცი დღე, არც საჭმელი, არც პური... მკიდია, ვინც უნდა, ის მოითხოვოს. ადვოკატიც დაიკიდეთ, ვაფშე, ყველა დაიკიდეთ, აქ ეგდოს. დილით ერთი ჭიქა წყალი, საღამოსაც — ერთი ჭიქა, ეგ არის ამის პაიკა...“

11 დღის შემდეგ, კარცერის კარი გაიღო. მორიგე გაოცებული იდგა და საბუთს დასცქეროდა. საბუთი ოფიცერ გიას ეჭირა ხელში და მშვიდად ეუბნებოდა: ხომ ხედავ, დეპარტამენტის ბეჭედი არტყია, მე რა ვქნა, მუხაძე საქართველოში რომ არ არის, უნდა წავიყვანო...

პატიმარი საკნიდან გაიყვანეს, ე.წ. ვარონკაში აიყვანეს და ციხის ტერიტორია დატოვეს.

„სად მივდივართ?!“ — ჰკითხა პატიმარმა ოფიცერს.

„შენ ვინ ყოფილხარ, ძმაო, სპეცეტაპი გამოყო შენთვის დეპარტამენტმა, რუსთავის ზონაზე მიგვყავხარ. აღარც კი მახსოვს, ბოლოს სპეცეტაპი როდის გაკეთდა“, — უპასუხა ოფიცერმა.

***

დათოს სასჯელი, მართლაც, გაუნახევრეს და თავისუფლებაზე მალე გავიდა, რაც შეეხება ოფიცერ გიას... მართალია, ის პატიმარ 0578-ის ძმიშვილის ნათლია იყო, მაგრამ პატიმრის სპეცეტაპით გაყვანა, არაოფიციალურად, 2 000 დოლარი დაუჯდა.

კიბოს წამალი არსებობს — დაავადებას გარგარი, ნუში, ალუბალი, ატამი, ქლიავი და ვაშლის თესლი კურნავს!!!

რატომ მალავენ ფარმაკოლოგიური კომპანიები სიმართლეს

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

დიდი ხანია, მუსირებს აზრი, რომ კიბოს საწინააღმდეგო წამალი არსებობს, თუმცა აქამდე ამას დაბეჯითებით ვერავინ ამბობდა. ამერიკელმა ავტორმა, ედვარდ გრიფინმა კი ის დიდი საიდუმლო გათქვა, რომელიც ვიტამინ B17-ს, იგივე ლაეტრილს ეხება. ვიტამინი B17, როგორც მეცნიერი ამბობს, კიბოს უჯრედებს ანადგურებს, მაგრამ თუ ასეა, რატომ არ იყენებს ტრადიციული მედიცინა. მით უმეტეს, რომ ამ პრეპარატის აღმოჩენიდან უამრავი ადამიანი გამოჯანმრთელდა? როგორც ირკვევა, ფარმაკოლოგიურმა კომპანიებმა თავს მალევე „უშველეს“ და წამალი აკრძალეს.

„ვიტამინი B17-ის დამალვა მეცნიერების კი არა, მსოფლიო ელიტის ინტერესში შედის“, — აღნიშნავს გრიფინი და განმარტავს, რომ ყოველწლიურად კიბოთი დაავადებულთა გამოკვლევასა და მკურნალობაზე მილიარდობით დოლარი იხარჯება... ასევე, მილიარდობით დოლარი იხარჯება ამ დაავადებასთან ბრძოლის ქიმიური საშუალებების შექმნაზეც. ეს კი ფარმაცევტული კომპანიებისთვის სერიოზული მოტივია, რომ B17-ის შესახებ სიმართლე დიდხანს და საფუძვლიანად დამალონ. **„წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოლო მოეღება გიგანტური ფარმაცევტული ინდუსტრიის კოლოსალურ შემოსავალს. თუ ერთ ჩვეულებრივ ვიტამინს შეუძლია კიბოს განკურნება, მაშინ მომენტალურად ჩამოინგრევა მთელი მანქანა, რომელიც საშუალებას აძლევს, გამდიდრდნენ ადამიანების ტანჯვისა თუ სიკვდილის ხარზე“,** — განმარტავს ამერიკელი ავტორი.

აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ ფარმაკოლოგიურმა კომპანიებმა უარი თქვან ამ უბრალო პრეპარატის კვლევაზე, რადგან ბუნებრივი პროდუქტის დაპატენტებას ვერასოდეს შეძლებენ:

ვიტამინი B17, რომელიც კლავს კიბოს, გარგრის კურკის შემადგენლობაშია და ის ყველანაირი კიბოს საწინააღმდეგო საშუალებად ჯერ კიდევ ათწლეულების წინ გამოაცხადეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ექიმი მაქს გერსონი წარმატებით კურნავდა პაციენტებს და ვიტამინი B 17 კიბოს მკურნალობის თავის მეთოდში შეიტანა. ეს ვიტამინი, ასევე, არის ნუშის გულში, ალუბალში, ატამში, ქლიავსა და ვაშლის თესლში. აშშ-ს ხარისხის კონტროლის სამსახურმა (FDA) ვიტამინ B 17-ის გაყიდვა ფარმაცევტული კომპანიებისა და აშშ-ს ჯანდაცვის სამინისტროს ზეწოლის შედეგად აკრძალა. ამასთან, გაავრცელეს ჭორი, გარგარი და ნუში თითქოს ციანიდებს შეიცავს და შეიძლება, მათი ინტოქსიკაცია გამოიწვიოს, ვინც მას ყოველდღიურად მიირთმევს. სიმართლე კი ისაა, რომ ამ პროდუქტით ჯერ არავინ მოწამლულა!

გრიფინი ამბობს, რომ ეს ილუმინატების, მასონებისა დ სხვათა ტაქტიკაა, ხოლო წამლები, საკვები და გმო-არსენალი, რათა მსოფლიო მოსახლეობა შემცირდეს.

შესაძლოა, ვიღაცებისთვის შეთქმულების თეორია ასტრალია, მაგრამ ამ ვერსიას არსებობის უფლება ნამდვილად აქვს, მით უმეტეს, რომ კიბოს წამლის არსებობაზე ინფორმაცია პირველად არ ვრცელდება:

ბრიტანული ჟურნალის — New Scientist-ის ერთ-ერთი ავტორის აზრით, საკმაოდ ცნობილი პრეპარატი დიქლორაცეტატი კიბოს საწინააღმდეგო საშუალებაა უდიდესი პოტენციალით, მაგრამ არც მისი არსებობა შედის ფარმაკოლოგიურ გიგანტთა ინტერესებში. რატომ? — წამგებიანია და იმიტომ! დიქლორაცეტატი კიბოს ყველა ფორმის ეფექტური სამკურნალო საშუალებაა და დაავადების ყველა ფორმის ეფექტურ მკურნალობას გვთავაზობს: გამოკვლევებმა, რომლებიც 2007 წლის დასაწყისში, კანადაში, ევანდელოს მიჩელაკისის მიერ ალბერტის უნივერსიტეტში ტარდებოდა, დაადასტურეს ამ პრეპარატის კიბოს საწინააღმდეგო თვისებები და მისი მოქმედების მექანიზმიც უნიკალურია — არ აზიანებს ჯანმრთელ უჯრედებს, თან იაფია...

აქ ერთი პრობლემა იკვეთება: ეს ძველი წამალია და აქედან გამომდინარე, შეიძლება, დაპატენტებულიც იყოს. ფარმაკოლოგიური კომპანიები კი არ დათანხმებიან ძვირფასი კლინიკური ცდების დაფინანსებას, თუ არ ექნებათ წამლის წარმოებისა და გაყიდვის ექსკლუზიური უფლება. ეს პრობლემა ახალი სულაც არ არის, უამრავი წამლის რეცეპტი თაროებზე იმის გამო იმტვერება, რომ მათგან კომპანიები შემოსავალს ვერ მიიღებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ არ ებრძვიან დაავადებებს, რომლებიც განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობას აწუხებს?! ისე, კიბო „მდიდრების დაავადებაა“ და ამიტომ, კომპანიები ყველაფერს აკეთებენ, რომ დიქლორაცეტატის ანალოგი მოძებნონ, რომელიც ძალიან ძვირი ეღირება.

დიქლორაცეტეტი კი, ფარმაკოლოგიური მოქმედებით ინჰიბიტორია — აქტივატორის ფერმენტი და როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, სწორედ ამ ფერმენტის ბლოკირება ანადგურებს კიბოს უჯრედებს. დიქლორაცეტატის ქიმიური ფორმულა უბრალოა და დაპატენტებული ვერ იქნება. სამეცნიერო ჟურნალისტები ეჭვობენ, რომ სწორედ ამიტომ არ არიან დაინტერესებულნი ფარმაკოლოგიური გიგანტები წამლის გამოცდითა და წარმოებით. კლინიკური ცდების გარეშე კი გვერდით მოვლენებს ვერ დაადგენენ...

სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ, კუსტარულად წარმოებული ეს პრეპარატი ინტერნეტის საშუალებით იყიდებოდა, როგორც წამალი ცხოველებისთვის. „ნიუსაინტისტ“-ის ინფორმაციით, აშშ-ს კვებისა და მედიკამენტების ხარისხის კონტროლის სამსახურმა აკრძალა მისი გაყიდვა და საიტიც — www.buydca.com დაბლოკა, თუმცა საიტის შემქმნელი, კალიფორნიელი ჯიმ ტოსანო ჯიუტად ამტკიცებდა, რომ დიქლორაცეტატი შეიძინა 2000-ზე მეტმა ადამიანმა და არავის განუცხადებია სერიოზული გვერდითი მოვლენების შესახებ. მანამდე კი FDA-მ საიტზე განათავსა განცხადება: „კიბოს მკურნალობის სუბსტანციის გაყიდვა ეწინააღმდეგება აშშ-ს კანონმდებლობას მანამ, სანამ არ იქნება დაშვებული FDA-ს მიერ“.

ხასმირ გაბერი კი დამნაშავედ სცნეს ფალსიფიცირებული წამლის გაყიდვაში ინტერნეტის საშუალებით. მისი მსხვერპლი გახდა 65 ადამიანი აშშ-დან, კანადიდან, დიდი ბრიტანეთიდან ბელგიიდან და ნიდერლანდებიდან.. გაბერი დიქლორაცეტატს DCAdvice.com-ის საშუალებით ყიდდა. 10 გრამი 23,68 დოლარი ღირდა, 20 გრამი — 45,52, 100 გრამი კი — 110,27. ლაბორატორიულმა ცდებმა დაადასტურა, რომ გაყიდული წამალი შეიცავდა სახამებელს, დექსტრინს, ლაქტოზას, მაგრამ არ შეიცავდა დიქლორაცეტატს. გაბერი, ასევე, დაადანაშაულეს 800 პირატული პროგრამის გაყიდვაში, დააკავეს გერმანიაში, მისი ექსტრადირება მოხდა აშშ-ში და მიუსაჯეს 20 წელი. საინტერესოა, რომ თავის საიტზე გაბერს წამლის რეალიზებაზე ალბერტის უნივერსიტეტის თანხმობა ედო(?).

ლაშა მკურნალიძე: „პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების 23, ხოლო უკანონო და დისკრიმინაციული მოპყრობის 100-ზე მეტი შემთხვევა უკვე დადასტურებულია“

რა პირობებში უნევდათ ნაციონალების დროს მუშაობა პედაგოგებს

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

განათლების სისტემიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულ პირთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ, ფაქტობრივად, მუშაობა დაასრულა. კომისია უახლოეს მომავალში ანგარიშსაც წარმოადგენს, რომელშიც კონკრეტულ ფაქტებთან ერთად, ზოგადი ანალიზიც იქნება — რა სისტემური პრობლემები იყო ნაციონალური ხელისუფლების დროს განათლების სისტემაში, როგორ ცდილობდნენ პედაგოგებისა თუ დირექტორების მართვას, როგორ ემუქრებოდნენ „დაუმორჩილებელ“ კადრებს და როგორ თითხნიდნენ მათ მოსაშორებლად საქმეებს. რამდენ ადამიანს მიენიჭა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულის „სტატუსი“ და დაუბრუნდებიან თუ არა ისინი სამსახურს? ჩატარებული სამუშაოს დეტალებს, „ვერსიას“ სპეციალური კომისიის წევრი, ასოციაცია „სკოლა-ოჯახი-საზოგადოების“ აღმასრულებელი დირექტორი ლაშა მკურნალიძე უმხელს.

— ბატონო ლაშა, როგორც ვიცი, კომისიაში დაახლოებით 1000-მდე საჯარო სკოლის პედაგოგის, განათლების სამინისტროს რესურსცენტრის თანამშრომლისა თუ დირექტორის განცხადება შემოვიდა. მათგან, სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული რეალურად რამდენი აღმოჩნდა?

— კომისიაში დაახლოებით 860 განცხადება შემოვიდა. სიმართლე გითხრათ, ეს იმ ადამიანების ალბათ 10% იყო, ვინც სამსახურიდან რეალურად უკანონოდ ან პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს. „რეჟიმი“ ძალიან ორგანიზებულად და გააზრებულად მოქმედებდა, მინიმუმამდე ამცირებდა რისკებს, რომ ინფორმაცია არ გაჟღერებულიყო და ცდილობდა, კვალი არ დაეტოვებინა. შესაბამისად, დადასტურება გარემოებების, რომლებზე დაყრდნობითაც სურდათ პედაგოგებს/დირექტორებს მიემართათ კომისიისთვის, რთული ან შეუძლებელი იყო. თითოეულ განცხადებას კომისია იხილავდა, დადგენილი დებულებისა და შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით. უმეტეს შემთხვევაში, კომისიის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად განმცხადებლებისგან ხარვეზების გამოსწორება ანუ მტკიცებულებების წარმოდგენა მოვითხოვეთ. მათგან მხოლოდ ნახევარმა შეძლო ამის გაკეთება. მარტო განცხადება არ ნიშნავდა, რომ პოლიტიკური ნიშანი უნდა დამდგარიყო. მიზეზ-შედეგობრივი კავშირიც უნდა ყოფილიყო მის პოლიტიკურ აქტივობას, საქმიანობას და დამდგარ შედეგს შორის. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადამიანებს ჰქონდათ განცდა, რომ უსამართლოდ დაჩაგრეს, მაგრამ ეს არ დადასტურდა.

— დადასტურება როგორ ხდებოდა და ერეოდა თუ არა კომისიის საქმიანობაში განათლების სამინისტრო?

— კომისიის მუშაობა შრომატევადი იყო. თითოეულ წევრს გააზრებული ჰქონდა პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, ასევე მნიშვნელოვანი იყო ორგანიზაციათა იმიჯსა და სახელზე ზრუნვა, რომელსაც ისინი წარმოადგენდნენ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, აბსოლუტური დამოუკიდებლობა გვქონდა. განათლების სამინისტროს არც ერთი წარმომადგენელი არ იყო კომისიის წევრი და არ ჩარეულა კომისიის მუშაობაში. თითოეულ წევრს ერთი ხმის უფლება ჰქონდა. საბოლოო შეფასებამდე, ყველა წევრი სრულ კონსენსუსამდე უნდა მივსულიყავით. ეს რთული, მაგრამ სამაგიეროდ, ყველაზე დემოკრატიული პროცესია. დიდი შრომა გავწიეთ და დიდი ენერგიაც დავხარჯეთ. ამისთვის, თითოეულ წევრს მინდა დიდი მადლობა გადავუხადო. მით უმეტეს, ისინი უანგაროდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობდნენ. ამ ფონზე, ჩვენ, პროფესიული და გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესის გარდა, სხვა რაიმე ინტერესი ნამდვილად არ გაგვაჩნდა. განვიხილეთ ყველა შემოსული განცხადება, ყველა განმცხადებელს პირადად გავესაუბრეთ, დავამუშავეთ დოკუმენტები, ვესაუბრეთ ასევე განმცხადებლების მიერ, მოწმეებად დასახელებულ ადამიანებს. საბოლოოდ, მაქსიმალურად შეფასებული, გამოკვლეული და შესაძლებლობების ფარგლებში გადამოწმებული ინფორმაციებითა და მტკიცებულებებით გამყარებული გადაწყვეტილებები მივიღეთ.

— და რამდენ დასკვნაში წერია, რომ ადამიანი პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს? ოპონენტები ამბობენ, ასეთი მხოლოდ 5-10 კაცი ჰყავთ და ტყუილად ლაპარაკობენ, თითქოს პედაგოგებს ვინმე პოლიტიკური ნიშნით დევნიდაო.

— სიმართლე გითხრათ, რეჟიმი ისე საქმიანობდა, ბევრ შემთხვევაში დადასტურება გაჭირდა. ასეთ პედაგოგებსა თუ დირექტორებს ბოდიშს ვუხდი, მათ მორალურად ვუთანაგრძნობთ, ადამიანურად გვესმის მათი, მაგრამ მტკიცებულებების არქონის გამო, ვერ ვადასტურებთ, რომ პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს. ჭეშმარიტების სრულყოფილად, 100%-იანი ეფექტურობით დადგენა შეუძლებელია, რადგან წინა ხელისუფლების წარმომადგენლები, საკმაოდ ჭკვიანად მოქმედებდნენ. რომ იტყვიან, კვალს არ ტოვებდნენ. მთავარია, ლუსტრაცია მოხდა. რაოდენობას რა მნიშვნელობა აქვს? 1 ან 2 შემთხვევა რომ დადასტურებულიყო, საკმარისი არაა? მით უმეტეს, დადასტურებული 23 შემთხვევა გვაქვს პოლიტიკური დევნის და 100-ზე მეტი უკანონო და დისკრიმინაციული მოპყრობის, შევიწროების გათავისუფლების. ამ ადამიანებში არის პოლიტიკური მოტივებიც, მაგრამ კვალის, მტკიცებულებების ვერმოძიების გამო მათი დადასტურება არ მოხერხდა.

— ცხადია, ამ 23 პირის ვინაობის გამხელას არ გთხოვთ, მაგრამ შეგიძლიათ, გვიამბოთ, რატომ ან რა მეთოდით ათავისუფლებდნენ პედაგოგებსა თუ დირექტორებს სამსახურიდან?

— პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პიროვნებების გარდა, ძალიან ბევრი იყო უკანონო გათავისუფლებულებიც (ასზე მეტი), სადაც პოლიტიკური საფუძველი შეიძლება არ დადასტურდა, მაგრამ ტენდენციურობის, ნეპოტიზმის, დისკრიმინაციის ნიშნები... იკვეთება. ჩვენ ხელთ არსებული „საქმეებიდან“ რამდენიმეს მოგიყვანთ მაგალითად, რომელიც ახლა მახსენდება: ერთ-ერთ რაიონში, ერთი პედაგოგის ქმარი, რომელმაც სკოლაში შვილიშვილს მიაკითხა დააპატიმრეს ადმინისტრაციული წესით. მეუღლეს, სკოლის დირექტორს კი შეუთვალეს, განცხადება დაწერე და წადი, თორემ პატიმრობას გავახანგრძლივებთო. პარალელურად, შვილმა დაურეკა თბილისიდან, რომელიც ძალოვან სტრუქტურაში მუშაობდა, დაწერე განცხადება, თუ გინდა ცოცხალი ჩამოვიდეო. ამას ემატება რესურსცენტრში დაბარება შუაღამისას, სადაც მას კუდ-ის, სოდ-ის წარმომადგენლები, გამგებელი, გუბერნატორის მოადგილე ერთად ხვდება. ეს ერთი მაგალითიც საკმარისია, დაინახო, რომ პრობლემა სისტემური იყო. ხაზს გავუსვამ იმ გარემოებას, რომ ამ პროცესებში ყველა რეგიონში აქტიურად იყვნენ ჩართულები ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები, დეპუტატები, პროკურორები, გამგებლები, გუბერნატორის მოადგილეები, ძალოვანი სტრუქტურების მაღალი თანამდებობის პირები.

ერთი შემთხვევა ასეთი იყო, პედაგოგი დები ერთ დღეს გაათავისუფლეს და იმ დღესვე სამსახური სიძემაც დაკარგა. ამ შემთხვევაში, პოლიტიკური კუთვნილების გამო — ვინაიდან მათი ძალიან ახლო ნათესავი (ძმა) პოლიტიკური ფიგურა, ნაციონალებს განუდგა. იყო შემთხვევები, როცა გვარის გამო გაათავისუფლეს. გავრცელებული პრაქტიკა იყო, დირექტორებს ეუბნებოდნენ, მოგვაწოდეთ არასანდო პედაგოგების, მშობლების სიაო. ან — რომელიმე შეხვედრაზე 10-15 კაცი მოიყვანეო. თუ უარს იტყოდა, ათავისუფლებდნენ. ღამის 12 საათზე სახლიდან გამოყავდათ, სვამდნენ მანქანაში, სადაც ოპერატიული თანამშრომელი იჯდა და აშინებდნენ. ხშირად, ტელეფონზე მესიჯს უგზავნიდნენ და ისე იბარებდნენ გამგებელსა თუ რწმუნებულთან. ვინც არ ემორჩილებოდა, იჭერდნენ, შეთითხნილი ბრალდებებით, მაგალითად ფინანსური დარღვევებისთვის, ან ემუქრებოდნენ ოჯახის წევრების სამსახურიდან გათავისუფლებით, დაჭერით.

— თუ არ ვცდები, იყო შემთხვევა, როცა რამდენიმე ათეულ სკოლაში დირექტორები თუ პედაგოგები ერთდროულად მოხსნეს.

— ეს ე.წ. კატის გამოცდების დროს მოხდა. ეს გამოცდები, საოცრად დაიწყო — ჯერ 9 დირექტორი დაიბარეს სამინისტროში, არასამუშაო დროს, საღამოს, გაჩხრიკეს დეტექტორით, დაატოვებინეს პირადი ნივთები შესასვლელში, მხოლოდ ამის შემდეგ გენინსპექციის უფროსმა წინასწარ გამზადებული გათავისუფლების განცხადებაზე მოთხოვა ხელის მოიწერა. გამოცდების შემდეგ კი, 50-ზე მეტი დირექტორი გაათავისუფლეს, იგივე დაუსაბუთებელი მოთხოვნით და იძულებით, მითხარით, ეს ხომ არის სისტემური?

— სისტემურია, მაგრამ ეს 50 დირექტორი რა მოტივით გაათავისუფლეს?

— თითქოს, არსებობდა სამინისტროში ბრძანება, რომლის მიხედვით, იმ სკოლების დირექტორები დატოვებდნენ თანამდებობას, რომელთა მოსწავლეებიც, „კატის გამოცდებზე“ ყველაზე დაბალ შედეგს აჩვენებდნენ. 50 დირექტორი ისე მოხსნეს, არ არსებობს ბრძანება კატის გამოცდების კრიტერიუმების შესახებ. გათავისუფლების ბრძანება ეყრდნობოდა მხოლოდ აუდიტის სამსახურის უფროსის მოხსენებას, მან ვერ შეასრულა დავალება (რატომ, რის საფუძველზე, რა კრიტერიუმით და ა. შ. არსადაა ასახული), კატის გამოცდებზე მისმა სკოლამ ყველაზე დაბალი შედეგი დადო, ამიტომ ტოვებს თანამდებობასო. მაგრამ, ასეც არაა — ბაზაში, გათავისუფლებულთა შორის ისეთი დირექტორებიც ვნახეთ, რომელთა სკოლებიც აღნიშნულ გამოცდებზე, შედეგებით, მე-6 და მეტიც, პირველ ადგილზე გავიდა. ანუ, „კატის გამოცდა“ კარგად გამოიყენეს სისტემისთვის მიუღებელი, არაკონტროლირებადი დირექტორების მოსაშორებლად. იმერეთში ასეთი შემთხვევაც დაფიქსირდა — სკოლებში რამდენიმე დირექტორი ერთდროულად მოხსნეს და მათ ადგილას საკრებულოს წევრები დანიშნეს. ეს იმიტომ, რომ საკრებულოს წევრებს ანაზღაურება არ ჰქონდათ და შემოსავალი ჰქონოდათ. აქ კონკრეტული სკოლის დირექტორების პოლიტიკური აქტივობა არ იკვეთება, მაგრამ ფაქტია, დირექტორები ვიღაცის ახირებას შეეწირნენ. საჩხერეში არსებობდა საქველმოქმედო ფონდი „ტაო“, რომელიც ბიძინა ივანიშვილთან ასოცირდებოდა. 2010 წლამდე ეს ფონდი სკოლებთან დაკავშირებით მეცენატურ საქმიანობას ეწეოდა. პოლიტიკაში ივანიშვილის მოსვლის შემდეგ, გამგებლები, უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლები დირექტორებს იბარებდნენ და პირდაპირ სთხოვდნენ, ამ ფონდთან ყველანაირი კავშირი გაეწყვიტათ, ხელშეკრულება გაეუქმებინათ. ამ საქმეში რესურსცენტრების წარმომადგენლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი.

— თავად პედაგოგების „დანაშაული“ არც ერთ შემთხვევაში არ გამოიკვეთა, მაგალითად პოლიტიკური პროპაგანდა-აგიტაცია სკოლაში, რასაც კანონი კრძალავს?

— ასეთი რამ რომ ყოფილიყო, აუცილებლად აყვირდებოდნენ, ვიდეოჩანაწერებსაც დადებდნენ და უფრო თამამად იტყოდნენ, ამ მიზეზით გავათავისუფლეთო. ამ შანსს, დამიჯერეთ, ხელიდან არ გაუშვებდნენ. თუმცა, ერთი ასეთი შემთხვევა იყო, რაიონში, ერთ-ერთი სკოლის გვერდით, მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრა მოაწყო თინა ხიდაშელმა. სასწავლო პროცესი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ რადგან შეხვედრა სკოლის მიმდებარედ დაიგეგმა და იქ სკოლის პერსონალიც მივიდა, დირექტორი სამსახურიდან მოხსნეს. ცხადია, შეთითხნილი ბრალდებით.

— უკანონოდ გათავისუფლებული ადამიანები სასამართლოს შიშის გამო არ მიმართავდნენ?

— რა თქმა უნდა, მათ აშინებდნენ, თუ იჩივლებ, ცუდ დღეში აღმოჩნდებიო. ემუქრებოდნენ. თუმცა, იყო შემთხვევა, პედაგოგმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა, პროცესი მოიგო და ზარალიც აინაზღაურა — განაცდურის ხელფასის სახით, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება მხოლოდ 2014 წელს მიიღო.

— კომისიას, ფაქტობრივად, 500-მდე მინიგამოძიება ჩაუტარებია. თუ გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და ასეთის არსებობის შემთხვევაში, პროკურატურისთვის ხომ არ მიგიმართავთ?

— კომისია გადაწყვეტილებას არ იღებს. ჩვენ უბრალოდ ვითარებას აღვწერთ, ვამბობთ კონკრეტული განმცხადებელი არის თუ არა პოლიტიკური ნიშნით ან უკანონოდ გათავისუფლებული და საბოლოო დასკვნას განათლების სამინისტროს ვანვდით. მართლაც იყო შემთხვევები, სადაც გაგვიჩნდა ეჭვი, რომ დანაშაულის ნიშნები იკვეთებოდა. როგორც ვიცი, რამდენიმე კონკრეტულ ფაქტზე განათლების სამინისტროს გენინსპექციამ მოახდინა რეაგირება, კონკრეტული პირებიც გაათავისუფლეს თანამდებობებიდან რესურსცენტრიდან და განათლების სამინისტროდან. რიგი საქმე პროკურატურაშიც გადაიგზავნა და სტრასბურგშის სასამართლოშიც კი.

— ის მასწავლებლები, ვისაც პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულების „სტატუსს“ ანიჭებთ, დაუბრუნდებიან სამსახურს?

— კომისია რომ შეიქმნა, განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი იყო. მან პირდაპირ განაცხადა, შევისწავლით კონკრეტულ შემთხვევებს, მაგრამ დირექტორებმა ხომ იციან, ვინც გაათავისუფლეს უკანონოდ, კარგი იქნება ინიციატივა გამოიჩინონ და დააბრუნონ სამსახურშიო. რამდენიმე ასეთი შემთხვევა მართლაც დაფიქსირდა. 4 პედაგოგი თავად დირექტორებმა დაბრუნეს სამსახურში. დირექტორების შემთხვევაში კი, როგორც იცით, გამოცდები ტარდება. მათ მინისტრი ვერ დანიშნავს იგივე ადგილზე. აღდგენაც, სხვისი უფლების შელახვის ხარჯზე არ უნდა მოხდეს — მათ ადგილებზე ახლა სხვა კადრებია. ვაკანტური ადგილის შემთხვევაში, პირველ რიგში, ამ ადამიანების კადრებს განიხილავენ. თუმცა, განმცხადებლებიდან, ზოგს საპენსიო ასაკმა მოუწია, ზოგს აღარ უნდოდა სამსახურში დაბრუნება და მათთვის მთავარი, მხოლოდ რეპუტაციის აღდგენა იყო. რამდენიმემ უკვე მადლობაც გადაგვიხადა, ჩემი მოსწავლეები, კოლეგები დარწმუნდნენ, რომ შეთითხნილი ბრალდებით გამათავისუფლეს და იმიჯი შელახული აღარ მაქვსო.

— დღეს ვითარება შეცვლილია, პედაგოგებსა და დირექტორებს უკანონოდ აღარ ათავისუფლებენ?

— ნამდვილად ასეა. ამას ნებისმიერი პედაგოგი დაგიდასტურებთ. საგრძნობლადაა შემცირებული კორუფციული მაჩვენებელიც. სამწუხაროდ, ამ სფეროში კორუფციას თავი ისეთმა ქვეყნებმაც ვერ დააღწია, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი და ბელგია. მისი სრულად აღმოფხვრა რთულია, მაგრამ ფაქტია, დღეს სკოლებში ისეთი რამ აღარ ხდება, რაც ადრე — დღეს რომ ბევრს ლაპარაკობენ „ნაციონალების წითელი დირექტორები“, მათ სკოლებში, ადამიანებს თანამდებობაზე 1500-1800 დოლარად ან ძვირფასეულობის, ქურქების სანაცვლოდ ნიშნავდნენ. ამას კონკრეტული ადამიანები ადასტურებენ. დღეს ასეთი რამ აღარ ხდება და იმედია, ამის საშიშროება, მომავალშიც აღარ იქნება.

— სამაგიეროდ, მუდმივად იქნება საშიშროება, რომ ხელისუფლებამ საარჩევნოდ პედაგოგების გამოყენება კვლავ სცადოს.

— გეთანხმებით, ყველაფერი, რაზეც ვისაუბრეთ იმიტომ კეთდებოდა, რომ დღეს ჩვენ ქვეყანაში ერთადერთი, ორგანიზებული, განათლების სისტემა დარჩა. 65 ათასამდე პედაგოგის უკან, მინიმუმ ორ-სამჯერ მეტი ადამიანი დგას. ეს დიდი ძალაა — ცენტრალიზებულად გაქვს საშუალება ინფორმაცია გაავრცელო, პროპაგანდა გასწიო, მოატყუო, გავლენის ქვეშ მოაქციო. გარდა ამისა, საარჩევნო უბნები სკოლებში იხსნება და საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებად ძირითადად სკოლისვე თანამშრომლები არიან. მათ კომისიის თავმჯდომარეობას სთავაზობდნენ და ეს ნიშნავდა, რომ ის უნდა გაეკეთებინათ, რასაც ეტყოდნენ, არამომხრეების სიაც შეედგინათ. ეს აღარ უნდა განმეორდეს. კომისიამ სისტემის ლუსტაცია მოახდინა. ჩვენ დასჯაზე კი არა, პრევენციაზე ორიენტირებულები ვართ. იმედია, ჩვენი ანგარიში, რომელსაც უახლოეს მომავალში წარვადგენთ და რომელშიც, ზოგადად, ნაციონალური რეჟიმის დროს არსებული სისტემის შეფასებაცაა, პრევენციის ერთ-ერთი საფუძველი იქნება.

1. სპილენძის შენადნობი ლითონთან
2. უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი
3. აკაკი წერეთლის პოემა
4. დაავად. განვითარების უმაღლესი მწვერვალი
5. ესპანეთის პარლამენტი
6. მ. ბულგაკოვის ,,... და მარგარიტა''
7. ქართულენოვანი ჟურნალი
8. მზის ღმერთი რომაულ მითოლოგ.
9. ისტორიკოსი ... თაყაიშვილი
10. თამარ მეფის ასული
11.ესპან. ნაკრების ვიცე-კაპიტანი
12. საფრანგეთის საფესტივალო ქალაქი
13.წესიერი ფორმით დაწყობილი მასალა
14.ინგლ. არისტოკრატ ვაჟთა კოლეჯი
15.კუნძ. სახალინზე მცხოვრები ხალხი
16. გაკოტრებული პირი
17. პარიზის აეროპორტი
18. რუსული როკ-ჯგუფი
19.საზოგადოების რჩეული ნაწილი
20. სახელმწიფო აფრიკაში
21. საგანთა ნუსხა
22. მდინარე აზიაში
23.ყველაზე დიდი უდაბნო დედამიწაზე
24. სარტყმელი მუს. ინსტრუმენტი
25. ,,რომაული არდადეგების'' რეჟისორი
26.ძველ სკანდინავ. სამხედრო ბელადი
27.მოქალაქ. უფლების ჩამორთმევა ძვ. რომში
28.ვაზების მწკრივი
29.ჰომეროს. პოემა
30. თმის მცენარეული საღებავი
31.მტაცებ. ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა
32. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
33. მდინარე ფლორენციაში
34. ვაშლის ღვინო
35. ხიზილალა - რუსულად
36. ჟან მარეს ცნობილი კინოროლი
37.თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
38. ვიოლინოს მსგავსი საკრავი
39.ინკების კვანძოვანი დამწერლობა
40. ქალაქი ირანში
41. ჯამის ფორმის სასმისი
42. მადრიდის ,,რეალის'' ექსკაპიტანი
43. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში
44. მიმარ. პოლონელი მამაკაცისადმი
45.ჩილეს უგრძესი მდინარე
46.ფურცელი დაწესებულების ლოგოთი
47. ჯუზეპე ვერდის ოპერა
48. საგანგებო დავალება
49. შ. ბრონტეს ,,ჯეინ ...''
50. უგონო მდგომარეობა
51. ,,ყველაფრის მკურნალი''
52. მსახიობი ... პიტი
53. გაზაფხულის ბოლო თვე
54.ქართ. უზენაესი წარმართ. ღვთაება
55. წვრილი ქვიშა
56.დედამიწ. ზედ. ბრტყელი გამოსახ.
57. ზევსის დედა
58.ნორვეგიული მუსიკის კლასიკოსი
59. მარადმწვანე ბუჩქი
60. ინდონეზიის კუნძული
61. სასტუმროს მსახური ბიჭი
62. მოკრივე ... ტაისონი
63. ყველაზე დიდი ანტილოპა
64. შლამის თევზი

ალსარებას ტაქსის მძღოლი იბარებს

აშშ-ს მეგაპოლისის, ნიუ იორკის მცხოვრებლებს ამიერიდან შეუძლიათ ცოდვების მოსანანიებლად ეკლესიაში აღარ იარონ — საკმარისია, ტაქსი გამოიძახონ, რომელსაც პასტორი ჯოზეფ ჯენი მართავს. ევანგელური ეკლესიის 52 წლის მღვდელი საკუთარ ტრანსპორტს „ბორბლებიან ეკლესიას“ ადარებს. რატომ? — იმიტომ, რომ ეს საშუალებას აძლევს, უამრავ ადამიანს შეხვდეს, ესაუბროს და დაეხმაროს. როცა მგზავრები იგებენ, რომ მანქანას პასტორი მართავს, გულითად საუბარს აბამენ. ყოფილა შემთხვევა, როცა მღვდელი რთული მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნაში დახმარებია. ჯოზეფს მანქანაში გამუდმებით ქრისტიანული ჰიპ-ჰოპი აქვს ჩართული. საკუთარ შეხედულებებს არავის ახვევს თავს და თავადაც რწმენაზე საკმაოდ თავისუფალი შეხედულებები აქვს. ღმერთის რომ გწამდეს, არ არის აუცილებელი, კვირაობით ეკლესიაში იარო. მთავარია, ღმერთი გულით ატარო და სიკეთე აკეთოო, — აცხადებს პასტორი.

ჯინსი ცელულიტს შეებრძოლება

მშვენიერი სქესის წარმომადგენლები უამრავ ფულს და ენერგიას ხარჯავენ არასასურველი ცელულიტის სხეულიდან მოსაშორებლად. როგორც ჩანს, ბრაზილიელი დიზაინერის გამოგონება ამ საქმეს გაუადვილებს, რადგან ანტიცელულიტური ჯინსი შექმნა. დიზაინერის განცხადებით, მის მიერ წარმოებული ჯინსის ქსოვილის კომპონენტების ეფექტურობა ხუთი წლის განმავლობაში ჩატარებული ცდებისას არაერთხელ დადასტურდა. აღსანიშნავია, რომ სხეულიდან უსიამოვნო ფორმის მოსაშორებელ, უნიკალურ ჯინსის შარვალზე მუშაობის დროს, ავტორმა ბრაზილიელი მეცნიერების აღმოჩენა გამოიყენა — ხელოვნური ბოჭკო, რომელიც ინფრაწითელ გამოსხივებას შთანთქავს.

მტირალა ჩვილს ყიდდნენ

ბრაზილიელმა მშობლებმა ჩვილის ინტერნეტით გაყიდვა გადაწყვიტეს, რადგან პატარა მთელი ღამე ტიროდა და ძილს უფრთხობდა, თუმცა ამ განზრახვაში ხელი სამართალდამცავებმა შეუშალეს, რადგან ინფორმაცია, ერთ-ერთ ვებგვერდზე, სარეკლამო ბანერზე ამოიკითხეს. მშობლები ბავშვს 267 გირვანქა სტერლინგად ყიდდნენ. პატარა კი მხოლოდ რამდენიმე თვისაა. მის ფოტოს საიტზე ერთვოდა წარწერა — ძალიან ბევრს ტირის და ძილის საშუალებას არ მაძლევს. არადა, თავის სარჩენად მუშაობა მჭირდება. ინფორმაციაში მითითებული იყო, რომ ჩვილი ბრაზილიის გოიასის შტატში ცხოვრობს და საკონტაქტო ნომრებიც იყო მიწერილი. მშობლებს პოლიციამ ადვილად მიაგნო, თუმცა, მათი განცხადებით, ჯერ უცნობია, ვინ განათავსა ეს განცხადება საიტზე.

საფლავის ქვას სიგნალიზაციას დაუყენებენ

სამხრეთ აფრიკის უდიდესი ქალაქის, იოჰანესბურგის ხელისუფლებას განზრახული აქვს, სასაფლაოებზე ქვებს სიგნალიზაცია დაუყენონ, რათა მათი გატაცება აღკვეთონ. ადგილობრივი პრესის ცნობით, საფლავის ქვებზე პირველი ასეთი მოწყობილობები უკვე მომავალი წლის დასაწყისში დაყენდება. კომპანია Memorial Alert საფლავის პატრონებთან ხელშეკრულებას გააფორმებს სიგნალიზაციის დაყენებაზე. ფირმის დირექტორის განცხადებით, როგორც კი ვინმე ქვას, ქანდაკებას ან ლარნაკს შეეხება, ჩამონტაჟებული გადამცემი ამოქმედდება და საფლავის პატრონს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას გაუგზავნის ნივთის დაკარგვაზე. გადამცემის წყალობით ადვილად დადგინდება მოპარული საგნის ადგილმდებარეობაც. იოჰანესბურგში სულ 36 საქალაქო სასაფლაოა. ბოლო კვირების განმავლობაში მხოლოდ ორ მათგანზე, სადაც ცნობილი ადამიანები არიან დაკრძალულნი, სულ ცოტა, 20 საფლავის ქვა მაინც მოიპარეს.

სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	2				4	6		9
			3	5		4	1	
						5	7	2
3		8	6					
			5		9			
					7	1		3
2	1	9						
	4	6		2	3			
7		5	4				2	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1	7		9	6				3
	5	9						7
		3	5	2				
	6				4			9
3			2				6	
				8	5	6		
5						9	3	
2				7	9		5	1

ᲠᲗᲣᲚᲘ

							2	
8	2	7				9		
		4			8	1		
6	4			7				
			2	8	5			
				4			5	3
		6	5			2		
		3				4	9	6
	7							

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	4				2			7
				7			3	6
	6		4			5		
	9				1			
	5	2		8		7	1	
			9				5	
		5			9		7	
3	8			2				
2			5				6	

დეპრესიას მესიჯით უმკურნალებენ

კალიფორნიელი ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა საუკეთესო იარაღია დეპრესიისა და სხვა ფსიქიკური პრობლემების სამკურნალოდ. კვლევა რამდენიმე პაციენტზე ჩატარდა, რომელთაც სისტემატურად ჰქონდათ ურთიერთობა ექიმებთან მესიჯის საშუალებით. კვლევამ აჩვენა, რომ ასეთი მიმოწერის შემდეგ, ეს ადამიანები თავს გაცილებით უკეთ გრძნობდნენ და უფრო ბედნიერად გამოიყურებოდნენ. სპეციალისტები აცხადებენ, რომ პაციენტები, მას შემდეგ, რაც ტექსტური შეტყობინებების წერა დაიწყეს, უფრო მობილიზებულნი და კომუნიკაბელურები გახდნენ. პაციენტები კი აცხადებენ, რომ ყოველი მესიჯის ზარზე ახსენდებოდათ, რომ მარტო არ იყვნენ. როდესაც რთულ მდგომარეობაში მოკლე ტექსტური შეტყობინება მომდიოდა, თავს უკეთ ვგრძნობდი და ვფიქრობდი, რომ ვიღაც მხარს მიჭერდა, — განაცხადა ექსპერიმენტის ერთ-ერთმა მონაწილემ.

საკვები, რომელიც საფრთხეს გვიქმნის

ექიმმა-გასტროენტეროლოგებმა იმ საკვების რეიტინგი შეადგინეს, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშია და ზოგჯერ მის სიცოცხლესაც უქმნის საფრთხეს. მკვლელი-საჭმელის სიის „ტოპ-ხუთეული“ ასე გამოიყურება:

რეიტინგის მეხუთე საფეხური სპეციალისტებმა გაყინულ და გამოსაყენებლად გამზადებულ ნახევარფაბრიკატებს მიაკუთვნეს. ისინი ჯანმრთელობისთვის საშიშ ტოქსინებს შეიცავს;

მეოთხე ადგილზეა შაურმა და სხვადასხვა ბუტერბროდი. სწავლულები მათ მოქმედებას შენელებული მოქმედების ბომბს ადარებენ. პურისა და შემწვარი ხორცის შეთავსება დიდი რაოდენობით სოუსით — ესაა კანცეროგენები და ცილები, რომელიც მალე იხრწნება, — ამბობენ სპეციალისტები.

მესამე ადგილზე ჰოთ-დოგი და ჰამბურგერია. სოსისს ჰოთ-დოგებისთვის ნებისმიერი რამისგან ამზადებენ, ხორცის გარდა: სახამებელი, ანტიოქსიდანტები, სტაბილიზატორები, შემასქელებელი, გემოს გამაძლიერებელი და მარილი — რა „სიკეთის“ მოტანა შეუძლია ამ ყველაფერს ადამიანისთვის, ადვილი მისახვედრია;

მეორე ადგილზე ქუჩაში დამზადებული ცომეული, განსაკუთრებით ბევრ ზეთში შემწვარი ფუნთუშა და ღვეზელია. ამგვარი ცომეული ადუღებულ და მარავლჯერადად გამოყენებულ ზეთში მზადდება და ბევრ კანცეროგენს შეიცავს;

ლიდერის პოზიცია მკვლევარებმა იმ საკვებს მიანიჭეს, რომელზეც გასტროენტეროლოგები გვირჩევენ, საერთოდ „ხელი ავიღოთ“. ეს კარტოფილი-ფრია — პროდუქტი მავნებლობის მიხედვით პირველ ადგილზეა. სახამებლისა და ცხიმების შეთავსება, ასევე მრავალჯერ გაცხელებული და კანცეროგენადქცეული ზეთი, რომელშიც მას წვავენ, საბოლოოდ, ადამიანის გენეტიკური მასალის ცვლილებასაც კი იწვევს, — აცხადებენ სპეციალისტები. შემწვარი კარტოფილის, განსაკუთრებით კი ფრის სახით მიღება ბევრ მემკვიდრეობით დაავადებას იწვევს. გასტროენტეროლოგების თქმით, ადამიანებში, რომლებიც კვირაში სამჯერ მაინც იკვებებიან სწრაფი კვების ობიექტებში, 50%-ით მეტია ონკოლოგიური დაავადებების განვითარების რისკი. მათი განცხადებით, ფასტ-ფუდის პროდუქტით ადვილად შეიძლება მოიწამლო, რადგან მომზადებიდან ერთ სააში უკვე გაფუჭებას იწყებს — ცილები ლპება, ცხიმები და ნახშირწყლები შემადგენლობას იცვლის. სპეციალისტები გირჩევენ, ჩამოთვლილი საკვები კვირაში ერთხელ მივირთვათ ან საერთოდ უარი ვთქვათ მასზე.

ვისთვისაა სასარგებლო პიტნის ჩაი

ცნობილია, რომ პიტნის ჩაი ტვინის მოქმედებას ააქტიურებს. ამ მცენარის სურნელოვანი სასმელი თითქმის არავისთვისაა აკრძალული. მხოლოდ პატარებს ზედმეტად კონცენტრირებული ნაყენი არ უნდა მივცეთ მენთოლის მაღალი შემცველობის გამო. ოფიციალურ და ხალხურ მედიცინაშიც პიტნას ფართოდ გამოიყენებენ. მისი ნაყენი შეგვიძლია მივიღოთ: მხედველობის პრობლემებისას; როგორც დამამშვიდებელი საშუალება; ტემპერატურის დასაკლებად; კუჭ-ნაწლავის დაავადებების შემთხვევაში; ასევე, როგორც აფროდიზიაკი. პიტნის სასარგებლო თვისებებზე ადრეც ბევრი დაწერილა. მის ეთერზეთში დიდი რაოდენობით მენთოლია, რომელიც ანტისეპტიკურ, გამაყუჩებელ, ოფლმდენ საშუალებას წარმოადგენს. პიტნის სასმელი საშუალებას იძლევა, მოვიხსნათ დაძაბულობა, მომატებული მეტეომგრძნობელობა. ცნობილია, რომ ძველ რომში პიტნის წყალს აპკურებდნენ ხოლმე შენობებს, საკმაოდ ხშირად, იმავე პერიოდში, სადილის წინ მაგიდებს ახალი პიტნით წმენდდნენ — მიიჩნეოდა, რომ მისი არომატი სასიხარულო განწყობას ქმნიდა. შუა საუკუნეებში სტუდენტები ხშირად ატარებდნენ პიტნისგან დაწნულ გვირგვინებს, რადგან არსებობდა მოსაზრება, რომ ამ მცენარის სურნელი ტვინის მუშაობას ააქტიურებს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1	6	5	9	2	4	8	3	7
9	8	7	3	6	5	4	2	1
4	3	2	1	8	7	6	5	9
3	7	6	4	5	8	9	1	2
2	1	4	7	3	9	5	6	8
5	9	8	6	1	2	7	4	3
8	4	3	2	9	6	1	7	5
7	5	1	8	4	3	2	9	6
6	2	9	5	7	1	3	8	4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3	6	5	4	2	1	9	8	7
9	8	2	3	7	6	5	4	1
7	4	1	5	9	8	6	3	2
4	5	8	7	6	2	3	1	9
1	2	3	9	8	5	7	6	4
6	7	9	1	4	3	2	5	8
5	3	7	2	1	4	8	9	6
2	1	6	8	5	9	4	7	3
8	9	4	6	3	7	1	2	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	1	3	7	6	9	5	2	8
9	8	2	1	5	4	7	6	3
7	6	5	8	3	2	4	1	9
2	9	1	6	8	7	3	5	4
3	4	8	5	2	1	9	7	6
6	5	7	4	9	3	2	8	1
5	3	4	2	1	8	6	9	7
1	7	6	9	4	5	8	3	2
8	2	9	3	7	6	1	4	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3	8	6	4	2	5	1	9	7
7	5	2	1	3	9	4	8	6
1	9	4	7	6	8	3	5	2
8	3	9	6	7	4	5	2	1
6	2	5	9	1	3	7	4	8
4	1	7	5	8	2	9	6	3
2	4	8	3	9	7	6	1	5
5	6	3	2	4	1	8	7	9
9	7	1	8	5	6	2	3	4

მე-10 გვერდი: 1. ემინემი; 2. მულღაზანზარი; 3. ნოდია; 4. მოდა; 5. ბაიდარა; 6. არჩილი; 7. დიკა; 8. როჩესტერი; 9. ალიდადა; 10. ნერუ; 11. სუმელჯი; 12. აქციზი; 13. ოჩოკოჩი; 14. ულისე; 15. ევტერპე; 16. ესე; 17. მზე; 18. სანა; 19. ილი; 20. არპეჯო; 21. ბლუ; 22. ტვიდი; 23. არამ; 24. ქსუ; 25. ფრეკენ; 26. ეტლი; 27. ნაირა; 28. იარალი; 29. ენურეზი; 30. პლაზმა; 31. ნავთი; 32. ვენეცია; 33. ელეგია; 34. კრეისერი; 35. ბრიჯი; 36. ჯექა; 37. არია; 38. ნეი; 39. ლეპორელო; 40. ეკა; 41. ბორში; 42. არსენა; 43. ილო; 44. სარა; 45. ცული; 46. ლაგი; 47. პელე; 48. რონა; 49. შტანგა; 50. სე; 51. მელიქ; 52. სოს; 53. ქიმია; 54. კარავაი; 55. მნე; 56. მარსი; 57. მუნ; 58. კაი; 59. ია.

მე-12 გვერდი: 1. წყალი; 2. ყორჩიბაში; 3. ლეკვი; 4. ბროლი; 5. რეზიუმე; 6. ლავრა; 7. ფრაკი; 8. ნეგუსი; 9. ჯენტლმენი; 10. აზოვი; 11. ბილიკი; 12. ტაიბეი; 13. უბე; 14. ობოლი; 15. ჯინი; 16. ტაბუ; 17. უშუ; 18. ნუგა; 19. ოლდსმობილი; 20. უთო; 21. ბელტი; 22. მლეთა; 23. დუყი; 24. ტანგო; 25. ლირი; 26. „ლაკმე“; 27. ყურანი; 28. ლოსი; 29. მამიდა; 30. ნოივილი; 31. მესა; 32. რაუნდი; 33. სნო; 34. ნიუ; 35. ყვა; 36. ილიკო; 37. ათი; 38. ამინ; 39. „ეგმონტი“; 40. ადიტი; 41. ამულსია; 42. კრედო; 43. ძუა; 44. კიოლნი; 45. მანტისა; 46. დუნაი; 47. ბუ; 48. მალე; 49. ატრიუმი; 50. ლელო; 51. ლიანგი; 52. აკიდო; 53. ხორუმი; 54. ჰანსკა; 55. სადამ; 56. ლაიმი; 57. პირს; 58. ბაკმი; 59. სტიქსი; 60. ეტოო; 61. ანა; 62. ობამა; 63. აკაცია; 64. ხვითო; 65. თია; 66. რეალი; 67. მაკი; 68. პატაკი; 69. ესი; 70. ფური; 71. მინა; 72. ფცა; 73. როლანი; 74. ლავა; 75. უატი; 76. მარტინ; 77. ილ; 78. ტოტია; 79. მწდე; 80. ფაი; 81. სია; 82. მარალი; 83. მოვი; 84. ატრია; 85. დია; 86. მერმისი.

1. მეცნიერება საზომ ერთეულთა შესახებ
2. ბოლშევიკთა საკულტო კრეისერი
3. ფიზიკის ნაწილი
4. მთელი ტანის ან ცალკეული ნაწილების კანკალი
5. კანტორა, სამმართველო
6. მეხსიერების დაკარგვა
7. ორგანიზმის მიერ დაზიანებული ნაწ. აღდგენა
8. ფრანგული ავტომარკა
9. რვა შემსრულებლისაგან შედგენილი ანსამბლი
10. ფიცარნაგი, რომელზეც სრულდებოდა სიკვდ. დასჯა
11. თბილისის მერი
12. ერთგვარი სისტემის რევოლვერი
13. „სარეკლამო“ აირი
14. მოსაცდელი დარბაზი თეატრში
15. განსხვავებული ფე-რის ზოლი ქსოვილზე
16. რიმე ნიმნის მიხედვით გამოყოფილი სივრცე
17. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქი
18. ირლანდია ირლანდიურად
19. ადამიანებისადმი კეთილად განწყ. სული
20. ამერიკელი კინორეჟისორი
21. იაპონიის ფულის ერთეული
22. მაქსიმუსის როლის შემსრ. „გლადიატორში“
23. ადამიანის ბიოველი
24. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
25. აგატა კრისტის დეტექტივი
26. ყვავილედის ტიპი
27. ჰოლივუდის ვარსკვლავი
28. შინაური წესით დამზად. აბრეშუმის ქსოვილი
29. უნგრელი კომპოზიტორი
30. ნესტიანი, ნამიანი
31. დაავ. უმაღ. მწვერვალი
32. დასტურის შეძ. აშშ-ში
33. იგივეა, რაც ნამი
34. მუეძინის მოწოდება მინარეთიდან ლოცვისათვის
35. ოქროქსოვილი ხავერდი
36. პლანეტა მერკურის ძველქართული სახელი
37. სოიას ხაჭო
38. მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში
39. შვეიცარიელთა სახალხო გმირი
40. მრავალწლოვანი ხვიარა მცენარე (ლიანა) პარკოსანთა ოჯახისა
41. საესტრადო წარმოდგენის სახეობა
42. ბულგარული არაყი
43. დაკოდილი ცხენი
44. ერთი წერტილი კამათელზე
45. ლექსის სტრიქონი
46. უარყოფითი განწყობის გამომწვევი ადამიანი
47. რომბრანდტის პირველი ცოლი
48. ბერძნული ანბანის ასო
49. მოკლედ აჭრილი ვაზის წყვილმტევნიანი რქა
50. მოქანდაკეთა ხის საჭრისი
51. სამოას დედაქალაქი
52. კორეული ავტომარკა
53. ჭექა-ქუხილის ქართული წარმართული ღვთაება
54. პრივილეგიური ქვე-ითი ჯარი ოსმალეთში
55. ბაღჩეული კულტურა
56. ბარბის ბოიფრენდი
57. ფილიპინეს უდიდ. კუნძული
58. ბიბლიური მოსეს ძმა
59. პატარა მტაცებელი ცხოველი
60. ამერიკელი ჩოგბურთელი მამაკაცი
61. ჟიულ ვერნის ერთ-ერთი კაპიტანი
62. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
63. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი
64. სიგრძის ერთეული, უდრიდა 143 ნაბიჯს
65. ისტ. მხარე სამხრეთ საქართველოში
66. საფეხბურთო კლუბი „...-ჯორჯია“
67. ქართული ანბანის არქაული ასო
68. მოხულიგნობა ხალგაზრდა
69. მეღვინეობის ქართული წარმართული ღვთაება
70. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
71. ქალაქი სამხრეთ ესპანეთში
72. არაბული ფლეიტა
73. ცხელი ქარი სამხრეთ ევროპაში
74. ლურჯი ან ცისფერი ძვირფასი ქვა
75. სასულთნო აზიაში
76. კანადელი მომღერალი ... დიონი
77. ჰოლივუდის ექსმსახიობი ვივიენ ...
78. მიკი მაუსის „მეგობარი“ გოგონა
79. დედამიწასთან უახლოესი ვარსკვლავი
80. ბებერი მგელი ვაჟას შემოქმედებიდან
81. გაღიღებული, გამხმარი და დაღერღილი ქერი, რომელსაც ლუდის წარმოებაში ხმარობენ
82. რკინის პატარა ნიჩაბი ცომის ასაფხეკად
83. საფოსტო მარკების შეგროვება
84. იანის მეწყვილე ჩინურ ფილოსოფიაში
85. რაჭის „დედაქალაქი“
86. ძველებ. რუსული ოქროს ფული

უმუშევრობა აბერებს

ლონდონის სამეფო კოლეჯის მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ უმუშევარი მამაკაცები უფრო სწრაფად ბერდებიან, ვიდრე მათი დასაქმებული თანატოლები. მათი განცხადებით, ორგანიზმის დაბერების პროცესის ტემპი მატულობს, თუ უმუშევრობა ორ წელიწადზე მეტხანს გრძელდება. სწავლულებმა 5,5 ათასზე მეტი მამაკაცისა და ქალის დნმ-ის ნიმუშები გამოიკვლიეს, რომლებიც 1966 წელს იყვნენ დაბადებულები და ფინეთში ცხოვრობდნენ. მათი სისხლის უჯრედების ტელომერების სიგრძე გაზომეს 1997 წელს და ახლა. აღმოჩნდა, რომ უფრო მოკლე ტელომერები ჰქონდათ იმ მამაკაცებს, ვინც ორ წელიწადზე მეტხანს უმუშევარი იყო. აღსანიშნავია, რომ ასეთი კანონზომიერება სუსტი სქესის წარმომადგენლებში არ დაფიქსირებულა. ტელომერები ქორმოსომების დაბოლოებაზე არსებული მცირე ნაწილებია, რომელთა სიგრძეც ორგანიზმის დაბერების შესაბამისად მოკლდება. როგორც ცნობილია, ტელომერების სიგრძე დაბერების, ასაკობრივი დაავადებებისა და ადრეული სიკვდილიანობის მაჩვენებელია. გამოკვლევის ავტორების განცხადებით, სამსახური ცხოვრების ჯანსაღი წესის ნანილია.

გაზეთი „ვერსია“ სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს. საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე. ტელ: 599 62 88 77

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.